


EU TEMPUS სასწავლო პროექტი მასწავლებლის სახელმძღვანელო



INOTLES სახელმძღვანელო	3	
შესავალი	3	
INOTLES ტრენერების ტრენინგი	3	
სახელმძღვანელოს მიზანი	4	
სახელმძღვანელოს სტრუქტურა და გამოყენების წესები	4	
პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება	6	
მეთოდის აღწერა	6	
სწავლების მიზნები - როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელოს თავში მოცემული ინფორმაცია	6	6
მასწავლებლის როლი	10	
გაკვეთილის დაწყებამდე და გაკვეთილის მსვლელობისას	13	
შეფასება	16	
მოხსენება-განხილვა	16	
პრაქტიკული ასპექტები	16	
მინიშნებები	17	
მოდელირება სოციალურ მეცნიერებებში	18	
მეთოდის აღწერა	19	
სწავლების მიზნები	20	
მასწავლებლის როლი	21	
გაკვეთილის დაწყებამდე და გაკვეთილის მსვლელობისას	22	
შეფასება	24	
პრაქტიკული ასპექტები	25	
მოხსენება-განხილვა	26	
პოტენციური გამოწვევები	27	
10 ძირითადი მინიშნება	29	
ელექტრონული სწავლება	32	
მეთოდების აღწერილობა	32	
სწავლების მიზნები	36	
მასწავლებლის როლი	37	
გაკვეთილის დაწყებამდე და გაკვეთილის მსვლელობისას	38	
შეფასება	41	
პრაქტიკული ასპექტები	41	
მოხსენება-განხილვა	42	
პოტენციური გამოწვევები	42	
მინიშნებები	43	
შერეული სწავლებები	44	
მეთოდის აღწერა	44	
სწავლების მიზნები	45	
შერეული სწავლებების პრიორიტეტები	45	
შერეული სწავლებების გამოწვევები	45	
მასწავლებლის როლი	47	
მომზადებამდე, დავალების შედგენამდე და სტუდენტების მომზადებამდე	48	
მეთოდის გამოყენების პროცესში	50	
შეფასება/მოხსენება-განხილვა	52	
მინიშნებები შერეული სწავლების გამოყენებისათვის	55	
ტერმინთა განმარტება	57	
ავტორები	58	

INOTLES სახელმძღვანელო



შესავალი პროექტი INOTLES

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს პროექტის ერთ-ერთ მთავარ პროდუქტს, რომელიც ხორციელდება 2014 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრამდე. INOTLES წვლილი შეაქვს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში კურიკულუმის რეფორმასა და უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციაში სამაგისტრო დონეზე ევროპული სწავლებების კურსების ინოვაციური პედაგოგიკის დანერგვის გზით და, შესაძლოა გამოყენებული იქნას უმაღლესი განათლების მოდელის სახით. ევროპული სწავლებების პედაგოგიკის სისტემატიური მიმოხილვა აღმოსავლელ პარტნიორებსა და ევროკავშირის მოწინავე საუნივერსიტეტო ცენტრებს კლასიფიცირებული მიდგომების მეშვეობით აერთიანებს (ელექტრონული სწავლებების, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების და სიმულაციების ჩათვლით). აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს მოქნილი რესურსების შექმნა, რაც, თავის მხრივ მომავალში გამოყენებული იქნება ევროპული სწავლებების სრული დიაპაზონით წარმოდგენისას. ამასთანავე, სწავლა-სწავლების რესურსების მეშვეობით შეიქმნება ყველასათვის ხელმისაწვდომი ონლაინ ინტერაქტიური რედაქტირებადი ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება INOTLES მიერ ჩამოყალიბებული ექსპერტთა ახალი გაერთიანების გამოცდილების კოლექციისათვის გაზიარება.

INOTLES ტრენერთა ტრენინგი

ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინარული და მულტიდისციპლინარული ხასიათი, ასევე აღნიშნულის ხელმისაწვდომობა სტუდენტთა როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული ჯგუფებისათვის ე.ი. პროფესიონალებისათვის, საჭიროებს პედაგოგიური მიდგომების მიქსს და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას, რაც თავის მხრივ მიმართული იქნება აკადემიური საჭიროებებისკენ და შრომის ბაზრის მოთხოვნებისკენ. აღნიშნულ კონტექსტში, INOTLES მიზანს წარმოადგენს აკადემიური და ინფორმაციული ტექნოლოგიების პერსონალის სწავლება, რომლებიც ჩართულნი არიან პარტნიორ უნივერსიტეტებში ევროპისმცოდნეობის სწავლებაში (სამუშაო პაკეტი 3 „ტრენერთა ტრენინგი“, 2014 წლის ივნისი – 2015 წლის იანვარი). აღნიშნული ემყარება თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მიდგომებს, აგებულია პარტნიორთა გამოცდილების შესაბამისად და მხარს უჭერს ჯგუფის მიერ ინოვაციური სასწავლო მეთოდების და ინსტრუმენტების შესწავლას, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ევროპული სწავლებების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევების გადაწყვეტა.

სწავლება მიმართულია პარტნიორის უწყებებისათვის და სამუშაო ბაზრის მოთხოვნებისათვის საჭირო ცოდნისა და ექსპერტიზის ცალკეული სფეროების იდენტიფიცირებისაკენ და აგრეთვე, შემსწავლელთათვის ცოდნისა და უნარების გადაცემის შესაბამისი ბალანსის დაცვისაკენ.

სწავლება აერთიანებს პირსპირ და ონლაინ ინტერაქტივებისა და პრაქტიკის გაზიარებას. 2014 წლის ივნისში პარტნიორი ქვეყნების (PC) და ევროკავშირის (EU) ინსტიტუტების შერჩეული ტრენერები მიწვეულნი იყვნენ ბრიუსელში სწავლების ჩატარების მიზნით, სადაც ევროკავშირის პარტნიორ ექსპერტთა მეშვეობით მათ მიეცათ პედაგოგიკის სხვადასხვა მეთოდების უშუალოდ გამოცდის შესაძლებლობა ისეთ ინოვაციურ მეთოდებში, როგორცაა პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებები, შერეული და ელექტრონული სწავლებები და მოდელირება. პირსპირ სწავლებას თან მოჰყვა ონლაინ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პედაგოგიური მიდგომების კონცეპტუალური გაგება (2014 წლის ივლისი – დეკემბერი). სწავლება დასრულდა 2015 წლის იანვარში საქართველოში გამართული პირსპირი სწავლებით, სადაც განხილული იქნა შესწავლილი მასალა, პარტნიორ ინსტიტუტებში ინოვაციური მეთოდების პრაქტიკული დანერგვის მიზნებისათვის გამოყენებული შესაძლებლობები და გამოწვევები, აგრეთვე მოხდა აღნიშნულის შედეგების გავრცელება ეროვნული და საერთაშორისო აუდიტორიისათვის.

პარტნიორი ქვეყნების პერსონალის მიერ მიღებული ცოდნა და უნარები გაზიარებული უნდა იქნას მათსავე უნივერსიტეტებში. 2016 წლის ბოლოსათვის საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში არსებული ევროპული კვლევების ეროვნული ცენტრების მიერ შემოთავაზებული იქნება სულ მცირე ერთი შიდა ტრენინგი ევროპისმცოდნეობის სწავლების მეთოდების მიმართულებით.

სახელმძღვანელოს მიზანი

სახელმძღვანელო მოიცავს INOTLES პირსპირი და ონლაინ სწავლებების მასალებს და ისახავს შემდეგ მიზნებს:

- აქტიური სწავლების პედაგოგიური მეთოდების, კერძოდ კი პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების (PBL), მოდელირების, ელექტრონული სწავლებები და შერეული სწავლებების შესახებ საერთო ცოდნის მიწოდებას;
- მასწავლებელთათვის და ინსტრუქტორთათვის პრაქტიკული მითითებების შეთავაზებას (ე.წ. „როგორ“ ტიპის მითითებები ცალკეულ მეთოდებთან მიმართებაში);
- ევროპისმცოდნეობის სფეროში მასწავლებელთა სწავლებისას და მომზადებისას გამოყენებული მეთოდების ნიმუშების შეთავაზებას;
- განსაკუთრებულ ინოვაციურ სასწავლო მეთოდებთან დაკავშირებით გამოსაყენებელ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას;
- აქტიური სწავლების და ინოვაციური პედაგოგიური მეთოდებისა და ინსტრუმენტების ძირითადი კონცეფციებისა და ტერმინების ზოგადი ლექსიკონის გაუმჯობესებას.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა და გამოყენების წესები

წინამდებარე სახელმძღვანელო იყოფა ოთხ განსხვავებულ სასწავლო სტრატეგიად: პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებები (PBL), მოდელირება, ელექტრონული სწავლება და შერეული სწავლება. წარმოდგენილია სწავლების თითოეული სტრატეგიის აღწერილობა და რჩევები არსებულ გამოწვევებთან და პრივილეგიებთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო მომხმარებელს ანიჭებს სასწავლო პროცესის ადგილის შერჩევის და თითოეული მეთოდის სიღრმის განსაზღვრის შესაძლებლობას. მთავარი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ძირითად ტექსტში, ხოლო სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსები და აქტივობები მიმართულია შესაბამისი პედაგოგიური ნიუანსების უკეთ გააზრების უზრუნველყოფისაკენ. აღნიშნული აგრეთვე გვთავაზობს სახელმძღვანელოს ნაწილების მიხედვით შესწავლილი მასალის გამოხატვისა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს იმ პროფესორთა მხარდაჭერა, რომელთაც სურთ აქტიური სასწავლო მეთოდების შესახებ დამატებითი ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება და აგრეთვე მასწავლებელთა (შესაძლოა თავად პროფესორთათვის) მხარდაჭერა კოლეგების აღნიშნული მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული სწავლებისას.

შემოთავაზებული აქტივობების განხორციელება შესაძლებელია ინდივიდუალურად, რამოდენიმე კოლეგასთან ან სასწავლო ჯგუფთან ერთად. ჯგუფური სწავლების შემთხვევაში მასწავლებელი მიიღებს გადაწყვეტილებას წინამდებარე სახელმძღვანელოთი წარმოდგენილი რესურსების გამოყენების შესახებ. საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ თავად გააკეთონ არჩევანი შემოთავაზებულ მეთოდებს შორის.

შეკითხვები სასწავლო პროცესის დაწყებამდე – თქვენი მოლოდინი სწავლებასთან დაკავშირებით?:



- რა არის წინამდებარე ტრენინგში თქვენი დარეგისტრირების მიზანი?
- რა არის თქვენთვის ცნობილი აქტიური სწავლებების პედაგოგიკის შესახებ?
- გამოგიყენებიათ თუ არა როდესმე აქტიური სწავლების ფორმა? (200–400 სიტყვა) მიღწეულია თუ არა ყოველი მიზანი, რომელიც თავის მხრივ არ წარმოადგენდა მოდელირებას, ე.ი. ღირს თუ არა აღნიშნულის განხორციელება?
- ▶ დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეაფასეთ გამოცდილება (შესაძლებელია თქვენს მიერ აღმოჩენილი პრივილეგიებისა და არახელსაყრელი პირობების მაგალითების მოყვანა). თქვენი მოლოდინი აქტიური სწავლებების პედაგოგიკასთან მიმართებაში თქვენივე სწავლებასთან დაკავშირებით? განსახილველი გამოწვევები. რისი მიღწევა გსურთ?
- ▶ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ თქვენი მოლოდინი აქტიური სწავლებების პედაგოგიკასთან მიმართებაში თქვენივე სწავლებასთან დაკავშირებით? განსახილველი გამოწვევები. რისი მიღწევა გსურთ?
- დაასახელეთ 3 მიზანი, რომლის მიღწევაც გსურთ წინამდებარე სწავლებების მეშვეობით.

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება

მეთოდის აღწერა

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება (PBL) ხაზს უსვამს სწავლების ინტერაქტიულ და ყოვლისმომცველ ბუნებას. პედაგოგიური მიდგომის სახით PBL პირველად შემუშავებული იქნა 1960–იანი წლების ბოლოს სამედიცინო სწავლების სფეროში და მოიცავდა კონსტრუქტივისტულ ლოგიკას ცოდნის შინაარსზე დამოკიდებულებისა და კონსტრუირების საჭიროების შესახებ; ლექციის მსვლელობისას ლექტორისაგან სტუდენტისათვის ცოდნის „მხოლოდ“ გადაცემის ნაცვლად, პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებაში სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმულნი ცოდნის კონსტრუირებაში.

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების გარემოში სტუდენტები აწყდებიან გარკვეულ სასხლექტ მექანიზმებს („დავლება“, „პრობლემა“ ან „ამოცანა“), რომელიც შედგენილია კურსის შინაარსზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალის წევრის მიერ („კოორდინატორი“). ამოცანა წარმოადგენს გარკვეულ თავსატეხს. სტუდენტები პრობლემებზე მუშაობენ თანაგუნდელებისგან შემდგარ მცირერიცხოვან ჯგუფებად („სემინარი“) და აღნიშნული პროცედურა მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის წევრის ზედამხედველობის ქვეშ („ხელმძღვანელი“). ლექციები გამოიყენება მხოლოდ დამხმარე მასალად.

ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობების გამო როგორც ამბობენ PBL–ს შედეგად მოჰყვება „სიღრმისეული შესწავლა“ და გუნდური მუშაობის მნიშვნელოვანი უნარების გამომუშავება. ამავდროულად, PBL მახასიათებლები მიმართულია სწავლების სტრატეგიებისაკენ („სწავლების მეთოდების შესწავლა“). დროთა განმავლობაში სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ წარმატებაზე და სასწავლო პროცესების ხარვეზებზე ზემოქმედების მეთოდები, რის შედეგადაც გარკვეული დროის შემდგომ ისინი გარდაიქმნებიან დამოუკიდებელ შემსწავლელებად.

სწავლების მიზნები - როგორ გამოვიყენოთ სახელმძღვანელოს წინამდებარე თავი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს მივაწოდოთ აკადემიურ პერსონალს პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების ზოგადი იდეა, რას წარმოადგენს ის და როგორ არის შესაძლებელი მისი გამოყენება.

სასწავლო სახელმძღვანელო შედგენილია შემდეგნაირად:

1. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების აქტიური სასწავლო პრინციპებისა და საფუძვლების შესახებ საბაზისო გაგების ზრდა.
2. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების გარემოში პერსონალისა და სტუდენტების განსხვავებული როლის გააზრება.
3. დავლების შესრულების ძირითადი იდეის გააზრება.
4. მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება - 7 საფეხური სტუდენტთა აქტიური გამოკითხვის მხარდასაჭერად და საპასუხო რეაქციის ძირითადი როლი
5. საბოლოო ასახვა შესაძლო სცენარზე, რაც გაამარტივებს ან გაართულებს პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებებს.

ზემოთ აღნიშნული სწავლებების დასასრულისათვის ჯგუფის წევრები შეიძენენ გამოცდილებას პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების მასალების გამოყენებასა და შედგენასთან დაკავშირებით და მიიღებენ გაცილებით მეტ ინფორმაციასა და ცალკეულ მოსაზრებებს ადგილობრივ დონეზე დანერგვასთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოს ცალკეული თემებში წარმოდგენილია მოკლე შინაარსი, რაც სრულდება სპეციალური დავალებებით, რომელიც შესაძლოა შესრულებული იქნას კოლეგების მიერ პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებების უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით.

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების ლოგიკის გააზრება

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებები ეყრდნობა წარმატებული და ყოვლისმომცველი სწავლების სამ ძირითად პრინციპს: 1) სწავლება უნდა იყოს შემსწავლელელებზე ორიენტირებული; 2) რასაც თან მოჰყვება ცოდნის აგების აქტიური პროცესი; 3) სწავლება უნდა იყოს თანამშრომლობაზე დაფუძნებული.

PBL ორიენტირებულია შემსწავლელელებზე

ხშირად PBL ხელოვნურად წარმოდგენილია როგორც მცირე-მოცულობის ჯგუფისათვის განკუთვნილი სწავლება. მართლაც, PBL, როგორც ინტერაქტიული სასწავლო აქტივობა ყველაზე ეფექტურია 12 სტუდენტისაგან შემდგარი ჯგუფისთვის (თუმცა, აღნიშნულის გამოყენება აგრეთვე შესაძლებელია შედარებით დიდი მოცულობის კლასებშიც, რითაც იგი უახლოვდება ჯგუფების დანაწევრების იდეას). ამრიგად, PBL გამოცდილების განმასხვავებელს წარმოადგენს არა მხოლოდ ჯგუფის მცირე მოცულობა, არამედ ამ მცირე ჯგუფთან ინტერაქციის ხარისხი, რაც ქმნის PBL მეთოდის განსხვავებულობას.

პირველ რიგში, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებებისას შემსწავლელელები (და არა პროფესორები) თავად ახორციელებენ *სწავლების მიზნებისა და სწავლების ამოცანების* იდენტიფიცირებას. ვვარაუდობთ, რომ „სიღრმისეული“ სწავლება ხდება როცა გვაქვს შესაძლებლობა სასწავლო მიზნების თავად განსაზღვრისა, ვინაიდან ვიაზრებთ ჩვენს მიდგომას ამა თუ იმ საკითხისადმი და ვანიჭებთ მას შესაბამის მნიშვნელობას. არსებული ცოდნის, ინტერესებისა და სასწავლო ჯგუფების მიერ იდენტიფიცირებული მნიშვნელობების მიხედვით შემსწავლელელები (და არა პროფესორები) ახორციელებენ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების შესაბამისი ციკლების საკითხების იდენტიფიცირებას. კოორდინატორი განსაზღვრავს საკითხებს და ადგენს დავალებების შესაბამის გეგმას, თუმცადა შეთანხმების ძიების პროცესში სასწავლო ჯგუფის მიერ განისაზღვრება თითოეულ სესიასთან დაკავშირებული ზუსტი სასწავლო მიზნები (ვინაიდან მათ ზუსტად იციან რა ცოდნას ფლობენ, შეუძლიათ შესამოწმებელი ჰიპოთეზების თავად განსაზღვრა, ა.შ.). სწორედ, სასწავლო აქტივობების დაწყებამდე შემსწავლელთა პროცესში ჩართვა განასხვავებს პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებას აქტიური სწავლებების სხვა ფორმებისგან, რომელშიც მაგალითად სტუდენტებს მოეთხოვებათ პასუხისმგებლობა ინსტრუქტორის მიერ მიცემული დავალების განხორციელებასთან დაკავშირებით (მაგ.: გარკვეულ თემაზე პრეზენტაციის მომზადება). PBL ფარგლებში სტუდენტები არა მარტო აქტიურობენ მოცემული დავალების შესრულების პროცესში, არამედ წინასწარი განხილვისას ისინი აქტიურად ერთვებიან ამოხსნის ზუსტი მეთოდოლოგიის განსაზღვრაშიც. აღნიშნული უზრუნველყოფს ცოდნის სიღრმისეულ მიღებას, ვინაიდან შემსწავლელებს საშუალება ეძლევათ მათთვის კონკრეტულად საინტერესო საკითხებზე ჩაატარონ კვლევა; შემსწავლელელები განსაზღვრვენ რელევანტურ და იდენტიფიცირებულ თავსატეხს და ცდილობენ მათი მნიშვნელობის გარკვევას; შემსწავლელელები ახალ თემას აკავშირებენ არსებულ ცოდნასთან და ცნობილ ინტერპრეტაციებთან (გლასერი, 1991, გვ. 132-3). სწავლის მიზნების განხილვისას ჯგუფის წევრები ახორციელებენ ინდივიდუალური ცოდნის ერთმანეთში გაზიარებას. ნევროლოგიური კვლევის თანახმად, აღნიშნული ხელსაყრელია სიღრმისეული შესწავლისათვის, ვინაიდან ახალი ინფორმაცია უკავშირდება წარსულში მიღებულ და უკვე კარგად გათავისებულ ცოდნას.



მეორე, პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებებში სტუდენტები განსაზღვრავენ არა მხოლოდ სწავლების შინაარსს, არამედ ისინი აქტიურად ერთვებიან სწავლების პროცესის კონფიგურაციაშიც. სტუდენტები პასუხისმგებელი არიან სასწავლო პროცესთან მიმართებაში თავმჯდომარის, მდივნის (ან ვირტუალური აუდიტორიის მუშაკის) როლის შესრულებითა და კონსულტაციებში აქტიური ჩართულობით. წარმოსახვით შემთხვევებში სტუდენტები თავად ატარებენ სემინარებს მასწავლებლის ნებისმიერი სახით ჩარევის გარეშე: სტუდენტი „თავმჯდომარე“ ხელმძღვანელობს შეხვედრას, არეგულირებს დებატებს და უზრუნველყოფს ჯგუფის წევრებს შორის ინფორმაციის ეფექტურ გაცვლას. „მდივანი“ ადგენს სხდომის აქტს და მხარს უჭერს ჯგუფურ დებატებს ვიზუალიზაციისა და დაფაზე შენიშვნების ჩაწერის გზით. ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია მიიღოს აქტიური მონაწილეობა და ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები.

ზემოთ აღნიშნულ სასწავლო პროცესში ჩართულობით შემსწავლელი ახდენენ მცირე მასშტაბიანი კვლევითი პროცესის მოდელირებას: კითხვების იდენტიფიცირებიდან დაიწყება ლიტერატურის მოძიება, ემპირიული გადაწყვეტილების, არგუმენტების ფორმულირებიდან დაიწყება შესაბამის შეხვედრაზე კოლეგებისათვის კვლევის ინდივიდუალური შედეგების წარდგენა. ამ პროცესში მცირე მასშტაბიანი ჯგუფის ინტერაქტიურ ელემენტთან ერთად შესაბამისად დაგეგმილი თვით-შესწავლის დრო ძირითად როლს ასრულებს. განხილვების შემდგომ კვლევის შედეგების შედარება-შეპირისპირებამდე სტუდენტებს ესაჭიროებათ სასწავლო მიზნების განსაზღვრაში ინტენსიური ჩართვა. სასწავლო პროცესის განმავლობაში სამუშაოს უდიდესი ნაწილი თვით-შესწავლის პერიოდში ხორციელდება საკლასო ოთახის გარეთ. წინა და შემდგომი განხილვები წარმოადგენენ ცალკეული პირის პირადი შემეცნების შემოწმების და გუნდის წევრებს შორის განხილვის შესაძლებლობებს. ყოველი შემდგომი განხილვის დასასრულს, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების ციკლის ბოლოს რეკომენდირებულია შთაბეჭდილებების ასახვის მომენტის ინტეგრირება, რომლის დროსაც ჯგუფის მიერ შეფასებული იქნება სწავლების პროცესი, განხორციელდება ხარვეზების განხილვა და მოხდება სწავლების შემდგომ ციკლში პოტენციური ცვლილებების პრიორიტეტულად განხილვა, ცვლილებებზე შეთანხმება.

PBL წარმოადგენს ცოდნის კონსტრუირების პრობლემებზე დაფუძნებულ პროცესს

პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ის, რომ სტუდენტები არა მხოლოდ პასიურ ცოდნას იღებენ ინსტრუქტორისგან, არამედ ისინი აქტიურად არიან ჩართულნი ცოდნის კონსტრუქციაში. პედაგოგიურ კვლევებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული ორი მიზეზის მეშვეობით აქტიური სწავლება მეტად ხელსაყრელია ცოდნის პასიურ გადაცემასთან შედარებით.

პირველ რიგში, სწავლება განიხილება როგორც „აზროვნების ჩამომყალიბებელი აქტივობა“. სტუდენტები არა მხოლოდ აითვისებენ და დაიმახსოვრებენ აკადემიური უწყების მიერ ცოდნად აღიარებულ ინფორმაციას, არამედ ისინი ფაქტებს მიანიჭებენ შესაბამის მნიშვნელობებს და კონკრეტული თავსატეხის გადასაჭრელ ცოდნას დააკონსტრუირებენ. ამრიგად, ცოდნა არ წარმოადგენს ცოდნის აბსტრაქტულ და ობიექტურ მიზანს, თუმცადა არსებული ცოდნა გარდაიქმნება დავალების ამოსახსნელ ინსტრუმენტად. PBL ლოგიკურ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო მიზნების განსხვავებული დონეების შესახებ ბლომის ტაქსონომიასთან, რომელიც იწყება კომპლექსურ მიზნამდე ცოდნის გადაცემის საწყისი წერტილიდან, სანამ განხორციელდება კომპლექსური მიზნები.

მეორე, ცოდნა დამოკიდებულია კონტექსტზე და შესაბამისად, სწავლებას ესაჭიროება კონტექსტუალიზაცია. ამოცანებითა და პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების ფარგლებში შემუშავებული დავალებებით სტუდენტებს ხშირად მოეთხოვებათ აკადემიური ცოდნის გამოყენება პრაქტიკულ სიტუაციებთან („რეალურ სამყაროსთან“) მიმართებაში. აღნიშნული ქმედებით შემსწავლელი შემოთავაზებული მასალების თაობაზე კონსულტაციის მიღებამდე განსაზღვრავენ კვლევის ეტაპების მნიშვნელობას. უფრო მეტიც, აღნიშნული ეხმარება შემსწავლელს მიღებული ცოდნის გამოყენების არეალის განსაზღვრაში. შესაბამისად, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებების მეშვეობით შესაძლებელია ცოდნის კონსტრუირება აკადემიური ცოდნის გამოყენებისა და განვრცობის კონტექსტში.

შემსწავლელთა მიერ აქტიურად კონსტრუირებული სწავლების აღნიშნული იდეა აგრეთვე ასახავს

მასწავლებლის როლსაც, რომელიც უკვე აღარ არის პასუხისმგებელი ცოდნის ტრადიციულად გადაცემაზე დაკავშირებით („სწავლება“), არამედ ორიენტირებულია სტუდენტების მხარდაჭერაზე, რომ მოახდინონ თვითმართვადი სასწავლო უნარების განვითარება და გაუმჯობესება („შესწავლის მხარდაჭერა“). აღნიშნული შეესაბამება პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების სასწავლო პროცესის აქცენტებს, სადაც მნიშვნელოვანია „შესწავლის მეთოდები“ და არა „სწავლების საგანი“.

ცოდნის აქტიური კონსტრუირების ლოგიკა მდგომარეობს შემდეგში: თავსატეხის ამოსახსნელი ინფორმაციის მოძიებამდე შემსწავლელების მიერ ხდება ცალკეული საკითხების მნიშვნელობის განსაზღვრა. ამ დროს ისინი არა მხოლოდ იმახსოვრებენ, არამედ იაზრებენ კიდეც. კონტექსტური სწავლება სტუდენტებს ეხმარება განსაზღვრონ თუ რაში შეიძლება მათ მიერ მიღებული ცოდნის გამოყენება.

რესურსების სასარგებლო ნაკრები:



- Moust, Jos, Bouhuijs, Peter, and Schimdt, Henk (2007): Features of problem---based learning: An introduction. In Introduction to problem---based learning. A guide for students. Nordhoff Uitgevers, გვ. 9---17, 53---56;
- Gijsselaers, Wim (1996): Connecting Problem---Based Practices with Educational Theory. In Wilkerson, LuAnn and Gijsselaers, Wim (eds). Bringing Problem---Based Learning to Higher Education: Theory and Practice. გვ. 3---12
- Maurer, Heidi, and Neuhold, Christine (2012). Problems Everywhere? Strengths and Challenges of a Problem---Based Learning Approach in European Studies. Paper presented at HEA Conference, May 2012 in Liverpool. Accessible at <http://tinyurl.com/problemseverywhere>
- "Tutorial Group 2013": An explanation of the seven PBL steps as used at the Faculty of Arts and Social Sciences (FASoS) at Maastricht University: <http://tinyurl.com/sevenpblsteps>
- PBL სემინარი 2014 წ ივნისში ბრიუსელში გამართული INOTLES შეხვედრა : <https://www.youtube.com/watch?v=xW1ercfSKtE>

PBL წარმოადგენს თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სწავლებას

არანაკლებად მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება დამოკიდებულია სასწავლო ჯგუფში მიმდინარე ინტეგრირებულ და ერთობლივ სწავლებებზე. აღნიშნული ერთობლივი სწავლებების მეშვეობით შემსწავლელებს ენიჭებათ სხვათა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, სხვათა აღმოჩენების საკუთარ სასწავლო წარმატებებთან დაკავშირებისა და კრიტიკული შეფასების შესაბამისობის ან ურთიერსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების განსჯის უნარის გამოყენებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა.

განხილვების შემდგომ გამართულ შეხვედრაზე სასწავლო ჯგუფის წევრები განახორციელებენ მოპოვებული ინფორმაციის დეტალურ დამუშავებას, კოლეგებთან განხილვასა და შეხედულებების და არგუმენტების ურთიერთგაცვლას. დამატებით, სტუდენტები აწყდებიან არა მხოლოდ სხვადასხვა შემეცნებებსა და არგუმენტებს, არამედ წაკითხული და შესწავლილი მასალების განხილვის პროცესში მოპოვებული ცოდნის წარმოდგენისას საჭირო ხდება აღნიშნულის ფორმულირება მათივე სიტყვებით. შეძენილი ცოდნის გამეორება ეხმარება სტუდენტებს ინფორმაციის დამახსოვრებაში.

დამატებით, სტუდენტები ახდენენ სოციალიზაციას გუნდის წევრებთან, რის საფუძველზეც ისინი აუმჯობესებენ საკომუნიკაციო და გუნდური მუშაობის უნარებს. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების საწყის ეტაპზე აღნიშნული წარმოადგენს გამოწვევას, მოგვიანებით ნებისმიერი პირი მარტივად გაითავისებს როგორ უნდა ირეაგიროს ჯგუფის დინამიკაზე, მის კომუნიკაციაზე და ჯგუფში დისფუნქციურ ქცევებზე.

დავალემა: “რას მოგვითხრობს ლიტერატურა PBL-ის შესახებ?”

კონსპექტი No1.



აღნიშნული დავალების მიზანს წარმოადგენს პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების გააზრება და ასახვა. ქვემოთ წარმოდგენილი ლიტერატურა (და სხვა წყაროები) გამოიყენეთ ისე, რომ შემდგომ საფეხურზე ახლად შეძენილი ცოდნის გაზიარება შესძლოთ შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემით: [დააჭირეთ აქ TEMPUS კონსპექტი](#)

მასწავლებლის როლი

ახალი როლის ადაპტირება: სტუდენტები აქტიურ შემსწავლელთა და მასწავლებლები მხარდამჭერთა სახით

ინტერნეტ ტექნოლოგიების საუკუნეშიც კი უმრავლესობა ჩვენგანი კვლავაც სწავლობს სწავლა-სწავლების ტრადიციული მეთოდებით: მასწავლებელი დგას სტუდენტების წინ, უხსნის მათ რა ისწავლონ და როგორ. 10-15 წევრისგან შემდგარი ჯგუფთან ერთად აქტიური და დამოუკიდებელი სწავლების ეფექტური და სასიამოვნო მეთოდის მიღწევა არც ისე მარტივია: აღნიშნული საჭიროებს დარეგულირების პერიოდს, სწავლებას, მიმოხილვასა და შესაბამისობის მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროცესში ჩართულ პირებს ესაჭიროებათ მათივე ახალი როლების ადაპტირება პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების გარემოში. ადაპტირების აღნიშნული პროცესის გამარტივება შესაძლებელია ცნობიერების ამაღლებისა და სავარჯიშოების შესრულებით; თუმცაღა, აღნიშნული აუცილებლად უნდა განხორციელდეს მოსაზრებების მუდმივი მიმოხილვის მეშვეობით.

ახალი პერსონალისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას გაცნობითი ხასიათის ტრენინგი, რომლის მეშვეობითაც ისინი გაეცნობიან პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების ძირითად ლოგიკას. აღნიშნულ გაცნობითი ხასიათის ტრენინგზე დამატებით პერსონალის მიერ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებები გამოცდილი უნდა იქნას მაგალითად PBL დავალების მიცემის პროცესის მოდელირებით. PBL სასწავლო გამოცდილების გაზიარების მიზნებისათვის სასწავლო პერიოდის განმავლობაში შესაძლოა გამოყენებული იქნას ნებაყოფლობითი სემინარები ან სხვა აქტივობები, რომლებიც შესაძლოა თავის მხრივ წარმოდგენილი იქნას PBL გარემოში სწავლა-სწავლების განსაზღვრული ასპექტების შესახებ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. დამატებით, აღნიშნული დაგეგმვა ჯგუფის ტექნიკითა და მასალებით უზრუნველყოფაში.

აკადემიური პერსონალის წევრებმა უნდა ისწავლონ თუ როგორ გარდაიქმნან მაკონტროლებელი და მზრუნველი ლექტორიდან ხელმძღვანელ და მიმართულების მიმცემ პირად. მასწავლებლებმა უნდა გაითავისონ ცნება არა „სწავლებისა“ და „ლექციის ჩატარების“, არამედ „შესწავლის“ შესახებ. მასწავლებლის ამოცანას არ წარმოადგენს მხოლოდ შინაარსის შეფასება, არამედ ჯგუფის სწავლების პროცესის, ჯგუფის ურთიერთმოქმედებისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა.

ლექციის ჩატარების ნაცვლად აკადემიური პერსონალის წევრი ეხმარება ჯგუფს შეკითხვების დასმის გზით, თავმჯდომარის დისკუსიებში სინთეზირებითა და ა.შ.

ფასილიტაციის სტრატეგიას წარმოდგენს: ღია შეკითხვების დასმა, მიმართულების მიცემა განმარტებებისაკენ, სტუდენტებისათვის დახმარების გაწევა მოსმენილის შეჯამების საკითხში ან ემპირიული მონაცემების წარმოდგენის ნაცვლად სტუდენტების წახალისება ჰიპოთეზის გენერირების საკითხში (მასწავლებლების მიერ პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მხარდაჭერი ტექნიკის მიმოხილვის მიზნით იხილეთ Barrows, McCaughan 2013, გვ. 14; Hmelo-Silver და Barrows 2006, გვ. 21–32). მეთოდისტიკისათვის ყველაზე რთულ დავალებას წარმოადგენს ჩარევის დროისა და მეთოდების განსაზღვრა. მასწავლებელი დაუყოვნებლივ არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მიერ არგუმენტის არასწორად გაგების შემთხვევაში.


გამოცდილი მასწავლებელი ჯგუფს მისცემს სწორ მიმართულებას და აუცილებლობის შემთხვევაში ჩაერევა რათა უზრუნველყოს სტუდენტების მიერ ცოდნის სწორად აღქმა. ასეთ შემთხვევაშიც, კი ჩარევა უნდა მოხდეს სრული სიფრთხილის გამოყენებით და მინიმალურ დონეზე, რათა აქცენტი გაკეთდეს არა მასწავლებელზე, არამედ ჯგუფის მიერ ცალკეული საკითხის განსამარტად და გასაგებად მიმართულ ძალისხმევაზე.

ფრიად მნიშვნელოვანია თითოეული ახალი კურსის დასაწყისისათვის გარკვეული დროისა და ძალისხმევის დახარჯვა ჯგუფის წევრების გაცნობის მიზნით და ჯგუფის მიერ სამუშაოებში ჩართვამ აგრეთვე შესაძლოა განავითაროს სასწავლო ჯგუფების სამუშაო რეჟიმები. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების მასალების მეშვეობით შესაძლებელია სასწავლო შეხვედრისას ჯგუფის წევრების დადებითი და ხელის შემშლელი საქციელის გამოყოფა. დამატებით, მასწავლებელს ესაჭიროება PBL გარემოში ხშირად გამოვლენილი როლის მოდელირების ეფექტის ცოდნა. მასწავლებლებისა და მოსწავლეების მჭიდრო კავშირის გამო მასწავლებლის არავერბალური მოქმედების მოდელირება ხორციელდება სტუდენტების მიერ. აღნიშნული შესაძლოა გამოყენებული იქნას სასარგებლო ინსტრუმენტად, მაგალითად, PBL ახალბედებისათვის მასწავლებელი ასრულებს თავმჯდომარის ან მდივნის როლს, რითაც მოსწავლეებს აძლევს პროცესის დაწყების მაგალითს და რის შემდგომაც მოსწავლეებს შეეძლებათ როლების საკუთარ მოსაზრებებთან ადაპტირება. აღნიშნული აგრეთვე გულისხმობს მეთოდისტიკის მიერ ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების წესების დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის მიერ მიღებული იქნა ყურადღების გადამტან ან შეუსაბამო საქციელთან დაკავშირებით სანქციის დაწესების გადაწყვეტილება (მაგ.: დაგვიანება, მობილური ტელეფონით სარგებლობა ან პორტატული კომპიუტერის ეკრანის უკან დამალვა და ა.შ.), ანალოგიური წესები სტუდენტ-ფასილიტატორის მიერაც უნდა იქნას დაცული.

სტუდენტებმა აგრეთვე უნდა მოხადინონ მათი როლების ადაპტირება აქტიური სწავლების გარემოში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკვე სოციალიზირებულნი არიან ტრადიციულ ლექციებზე დაფუძნებულ გარემოში. PBL აქტივობებში ჩართვამდე სტუდენტებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია სწავლების აღნიშნული განსხვავებული მიდგომის შესახებ: თვით–

შესწავლის პროცესში მათ უნდა იმუშაონ დამოუკიდებლად, ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ სასწავლო ჯგუფებში და იმუშაონ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.

რესურსების სასარგებლო ნაკრები:

 დააჭირეთ აქ №1 ცხრილის სანახავად: PBL-ის შვიდი საფეხური და მათი ლოგიკური საფუძველი

7 საფეხური სტუდენტების სახელმძღვანელოდ

თითოეული სასწავლო შეხვედრა იყოფა ორ ნაწილად: სასწავლო სესია იწყება სწავლებამდე სტუდენტის მიერ მომზადებული დავალებების განხილვებით. მცირე შესვენების შემდგომ ჩატარდება იმ დავალებების წინასწარი განხილვა, რომლებიც სტუდენტების მიერ მომზადებული უნდა იქნას შემდეგი სასწავლო შეხვედრისათვის. იდეალურ ვარიანტს წარმოადგენს ორივე მხარის მიერ აღნიშნული პროცედურისათვის ორი საათის გამოყოფა.

დამატებით, სტუდენტთათვის ჯგუფში აქტიური მუშაობისათვის დახმარების მიზნით მასტრიხტის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული იქნა შვიდსაფეხურიანი მიდგომა (რომელსაც ხშირად მოიხსენებენ როგორც „შვიდ-ნახტომს“). აღნიშნული მიდგომის მიზანს წარმოადგენს პრობლემებზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში, განსაკუთრებით კი წინასწარი განხილვების დროს, სტუდენტთა სასწავლო პროცესის მხარდაჭერა და აგება. სტუდენტებისათვის რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი სასწავლო მიზნის ერთობლივი მიღწევის პროცესის გაცნობისა და კვლევის მარტივი პროცესების მოდელირებაში დახმარების მიზნებისათვის შვიდ-საფეხურიანი მიდგომა თითოეულ დავალებას მოეპყრობა ერთი და იმავე მეთოდით. დავალების წინასწარი განხილვის დროს სტუდენტები დაიცავენ შვიდ-საფეხურიანი მიდგომის პირველ ხუთ საფეხურს, რასაც თან მოჰყვება თვით-შესწავლა და შემდგომი განხილვა (იხილეთ ცხრილი რესურსების სასარგებლო ნაკრები).

აღნიშნული წინასწარ-აგებული მიდგომა დაეხმარება იმ სტუდენტების ჯგუფებს, რომლებსაც საწყის ეტაპზე არ მოეპოვებათ ინფორმაცია PBL-ის შესახებ. ამავდროულად, გამოცდილების მქონე სტუდენტები საკმაოდ სწრაფად ითვისებენ ერთად მუშაობის მეთოდებს და ჯგუფური მუშაობის მიზნით ახერხებენ პროცესის საკუთარი მეთოდებით ადაპტირებას.

გაკვეთილის დაწყებამდე და გაკვეთილის მსვლელობისას

PBL–ის წარმატებით გამოყენება დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: სტუდენტები, როგორც დამოუკიდებელი შემსწავლელები და მათი ჯგუფის დინამიკა; მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი; და დავალებები, როგორც სტიმული დამოუკიდებელი სწავლებისთვის.

ინდივიდუალურ კვლევით პროცესში ჩართვამდე ცალკეული თემის განხილვაში სასწავლო ჯგუფის წევრების ჩართვის მიზნებისათვის დავალება საწყის პუნქტს წარმოადგენს. დავალება განკუთვნილია სტუდენტთან თანამშრომლობის, ინტერესის ამადლების, სტუდენტის ცოდნის დაკავშირების და ჯგუფის სწავლების პროცესში ჩართვის მიზნებისათვის, რაც თავის მხრივ სტუდენტებს უზრუნველყოფს საჭირო სივრცით, მათივე ინტერესების მიხედვით შესაბამისობისა და შეკითხვების განსაზღვრისათვის. დავალებები უნდა იყოს ავთენტური და წარმოდგენილი რეალური სცენარის სახით. პრაქტიკულად, ჯგუფს უნდა მიეცეს გარკვეული თავსატეხი განსაზღვრონ რამდენიმე სასწავლო მიზანი, რისი მეშვეობითაც ისინი მართავენ თვით-შესწავლის პროცესს და 50–70 წუთის შემდგომ შეძლონ შეჯამება და განხილვა.

დავალებების შედგენა წარმოადგენს კრეატიულ და სასიამოვნო პროცესს, თუმცადა საუკეთესოებსაც კი არ შესწევთ სრულყოფილი დავალების შედგენა საწყის ეტაპზე. და პირიქით, განმეორებითი განხილვები მიმდინარეობს წლების განმავლობაში კოლეგებისა და სტუდენტების საპასუხო კავშირის მეშვეობით, რომლის მეშვეობითაც ახორციელებენ დავალებების პერიოდულ გაუმჯობესებას. აგრეთვე სასარგებლოა დავალებების შედგენაში სხვადასხვა ფაკულტეტების წევრების ჩართვა და სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის დავალების შედგენის მეთოდების გაზიარება და სწავლება.

დავალებების შედგენის პროცესი მოიცავს ორ განსხვავებულ ასპექტს: პრობლემების წარმოქმნა და პრობლემის სტრუქტურირება. პირველი მოიცავს ინფორმაციას დავალების შინაარსის შესახებ (მაგ.: რას წარმოადგენს პრობლემის არსი), ხოლო უკანასკნელი განსაზღვრავს დავალების მეშვეობით სტუდენტების წინაშე პრობლემის წარდგენის მეთოდს. ვინაიდან PBL ფოკუსირებულია სტუდენტებზე, თითოეული დავალების დიზაინი ადაპტირებული უნდა იქნას თითოეული მოსწავლისათვის. როგორც სხვა საგანმანათლებლო აქტივობების დროს PBL–ის შემთხვევაშიც, დავალების შემდგენს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია სტუდენტების საბაზისო ცოდნისა და უნარების დონის შესახებ.

წარმოდგენილი სამი დავალება გათვალისწინებული უნდა იქნას დავალების შედგენის პროცესში:

დავალება 1: სწავლა აქტივობით: თავად განახორციელეთ წინასწარი განხილვა:

“დავალების წინასწარი განხილვა”



მოცემულ დავალებაში ჩვენ თავი უნდა წარმოვიდგინოთ სტუდენტების ადგილზე და დავამუშავოთ დავალება 7-საფეხურიანი მიდგომის პირველი ხუთი საფეხურის გამოყენებით.

- წაიკითხეთ დავალება (იხილეთ დანართის სახით)
- გამოიყენეთ 7-საფეხურიანი მიდგომის პირველი ხუთი საფეხური ინდივიდუალურად (დავალება იხილეთ აქ)
- გაუზიარეთ ერთმანეთს წინასწარი განხილვის ამსახველი ჩანაწერები და სწავლების საბოლოო მიზანი.

დავალება 2: შეადარეთ კარგი და უხარისხო დავალებები: სხვადასხვა დავალებების შედარება



- წაიკითხეთ დავალება (იხილეთ დანართის სახით)
 - ▶ მაგალითი 1a (მაასტრიხტის ხელშეკრულება)
 - ▶ მაგალითი 1b (ევროპის პარლამენტი)
 - ▶ მაგალითი 2a (მაასტრიხტის ხელშეკრულება)
 - ▶ მაგალითი 2b (ევროპის პარლამენტი)

დავალება 3: როგორ შევასრულოთ დავალება ხარისხიანად?



როგორც წესი, „ხარისხიანი“ დავალების შესრულების მოთხოვნების შეჯამება შესაძლებელია სამი ძირითადი მახასიათებლის გამოყენებით: 1) აღწერილობის ნაცვლად გამოიყენეთ განხილვა; 2) უხელმძღვანელო სასწავლო ჯგუფს; 3) გამოიყენეთ სკაფოლდინგი გარკვეული რაოდენობით. ამავდროულად, წარმატებული დავალებების მეშვეობით სტუდენტები უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ ინტერესების განსაზღვრისა და მნიშვნელობის დადგენისათვის საჭირო სივრცით. დამატებით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: 4) სხვადასხვა დავალებების შედარება

- წაიკითხეთ დავალება (იხილეთ დანართის სახით)

რესურსების სასარგებლო ნაკრები:



- Barrett, Terry, Cahsman, Diane, and Moore, Sarah (NN): Designing Problems and Triggers in Different Media. Challenging all Students. გვ. 18--19.
- Stanton, Marie, and McCaffreey Majelly (2011). Designing Authentic PBL Problems in Multidisciplinary Groups. In: Barrett, Terry and Moore, Sarah (eds). New Approaches to Problem--based Learning. Revitalising your Practice in Higher Education. New York/London: Routledge. გვ. 36--42.
- Dolmans, Diana, et al (1997). Seven principles of effective case design for a problem--based curriculum. Medical Teacher 19(3): 185 - 189.
- Maurer, Heidi (2014 forthcoming). Best Practices in PBL. Handbook თავი. გვ. 6--13.

კურსის მიმდინარეობისას მკვეთრად განსხვავდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის (მასწავლებლის) როლები. სტუდენტები უნდა იყვნენ აქტიურები, მათ უნდა შეასრულონ სასწავლო დავალება და მოემზადონ შეხვედრისათვის. მასწავლებელი მხარს უჭერს, ხელმძღვანელობს და ეხმარება მათ.

პირველი სესია გამოყენებული იქნება სტუდენტებთან დისკუსიისათვის, რომელიც შეეხება მოლოდინს, დავალებებსა და სხვა პრაქტიკულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ჯგუფის ურთიერთქმედება და კოლეგების კომუნიკაცია წარმოადგენს PBL-ის ძირითად ელემენტს, აღნიშნულის მეშვეობით შესაძლებელია დაბრკოლებები შეექმნას ჯგუფური მუშაობის პრინციპს. სწორედ ამიტომ, ჯგუფური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხი წარმოადგენს PBL-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს ყოველი შემდგომი განხილვის დასასრულისათვის, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც დავალების დამუშავების დროს არ იმუშავა ჯგუფურმა მეთოდმა ან ჯგუფის წევრებს გააჩნიათ მოსაზრებები ჯგუფური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ასეთი ტიპის მიმოხილვები ფასილიტაციას უწევს, რათა თითოეული წევრი განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი სტუდენტი და მოამზადოს ისინი პროფესიულ გარემოში შემდგომი გუნდური მუშაობისთვის.

შემდგომ გვერდზე წარმოდგენილ ცხრილში ჩვენ შევაჯამეთ რიგი ჩვეული გამოწვევებისა, რომლებსაც სტუდენტები აწყდებიან 7 საფეხურის გამოყენებისას. ზოგადად, საწყისი ეტაპისათვის სტუდენტებს არ მოსწონთ დიდი სივრცე; ისინი მიჩვეულები არიან, რომ აუცილებლად უნდა მოიქცნენ მითითებისამებრ, ამიტომ მასწავლებლების მიერ უზრუნველყოფილი სივრცე გამყარებული უნდა იქნას სტუდენტებისათვის. ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში სტუდენტების ჩართვის შემდეგ მასწავლებლის მიერ არ მოხდეს შეჭრა და ლიდერობის კვლავ საკუთარ თავზე აღება.

რესურსების სასარგებლო ნაკრები:



- დააჭირეთ აქ მე-2 ცხრილის სანახავად: PBL-ის შვიდი საფეხური: ლოგიკური და პოტენციური პრაქტიკული

შეფასება

სტუდენტური მიერ შესრულებული დავალების ფორმალური შეფასება უნდა განხორციელდეს კურსის მიზნისა და შესწავლილი უნარების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ კურსის დავალებები აგებული იქნა არგუმენტაციის მეთოდის შესასწავლად, შეფასება აგრეთვე უნდა განხორციელდეს არგუმენტაციის ხარისხის გათვალისწინებით (მაგ.: ესეს შემოწმების მეშვეობით).

არაფორმალური შეფასების ფარგლებში შეფასების მომენტები მკვეთრად განსხვავდება PBL-ის გარემოში, ვინაიდან აღნიშნული მიმართული არ არის მხოლოდ შინაარსზე დაფუძნებულ ასპექტებზე. პირიქითაც, როგორც წესი პროცესის და გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებული ასპექტების შეფასება ხდება.

განხილვა–შეჯამება

განხილვის შემდგომი პერიოდის დასასრულისათვის ჯგუფის წევრების მიერ დრო უნდა დაეთმოს შესაბამისი დავალების სწავლების პროცესს: ე.ი. ის შერჩეული სასწავლო მიზნები და პოტენციური ასპექტები, რომლებსაც არ ითვალისწინებდა წინასწარი დისკუსია, თუმცა აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდგომი განხილვის პროცესში. აგრეთვე, ჯგუფის წევრების მიერ განხილული უნდა იქნას ჯგუფური მუშაობის მეთოდები: რომელი მეთოდი იყო წარმატებული, ან რომელს ესაჭიროება გაუმჯობესება და სრულყოფა; გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირების შემთხვევაში ჯგუფის მიერ შეთანხმებული უნდა იქნას აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდები შემდგომი დავალებისას. აღნიშნული გზითა და მეთოდებით ჯგუფი შესძლებს PBL სწავლების პროცესის დარეგულირებასა და გაუმჯობესებას.

პრაქტიკული ასპექტები

ზოგადად, მოქნილად უნდა იქნეს გამოყენებული PBL-ის მეთოდი. უფრო მეტიც, აღნიშნულის ვითარებებთან, ცოდნის დონესთან და სტუდენტების აკადემიურ უნარების გათვალისწინებით ადაპტირება უნდა განხორციელდეს სიფრთხილის გამოყენებით. თუმცა, სტუდენტები უნდა მიეჩვივნონ PBL სტრუქტურას და გაიაზრონ არა მხოლოდ ერთი დავალება, არამედ PBL სხვადასხვა დავალებების ინტეგრირება მოახდინონ სულ მცირე ერთ კურსში, რისი მეშვეობითაც ისინი „ისწავლიან თუ როგორ უნდა ისწავლონ“ აღნიშნულ გარემოში.

PBL განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენება მცირე მოცულობის ჯგუფებში, თუმცა აღნიშნულის გამოყენება აგრეთვე შესაძლებელია დიდ კლასებშიც. წინასწარი განხილვების ინტეგრირება შესაძლებელია ლექციებზე მომდევნო შეხვედრამდე, ანუ სადაც სტუდენტები მასალებს გაეცნობიან. ან სტუდენტებს შესაძლოა მოეთხოვოთ წინასწარი განხილვის საკუთარი ინიციატივით ორგანიზება და ლექცია გამოყენებული იქნება სტუდენტების მიერ შემდგომ შეხვედრამდე შემოთავაზებული სხვადასხვა კითხვის შესათანხმებლად და შესადარებლად.

თუ ხდება PBL-ის მცირე ჯგუფში გამოყენება, უნდა დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილ ოთახში შესაძლებელია სტუდენტების განლაგება წრიული ან ნახევარწრიული ფორმით. აგრეთვე, წინასწარი დისკუსიების დროს შესაძლებელი უნდა იყოს დაფის ან ვიზუალიზაციის სხვა საშუალების გამოყენება.

მინიშნებები

განახორციელებ PBL ადაპტირება ისე, რომ აღნიშნული შეესაბამებოდეს ინსტრუქტორის მიზნებს: აღნიშნული პედაგოგიკის გამოყენებისას თავი უნდა იგრძნოთ კომფორტულად



შეინარჩუნეთ სიმარტივე (განსაკუთრებით საწყის ეტაპზე): ნუ შეადგენთ გართულებულ დავალებებს, ვინაიდან აღნიშნული დააბნევს თქვენს სტუდენტებს (და თავად თქვენც)

უხელმძღვანელებ, თუმცა ნუ გაცემთ ბრძანებას / ნუ მოახდენთ მანიპულირებას: სტუდენტებისათვის დავალების შედგენისას იფიქრეთ იმ თავსატეხზე, რომელიც თქვენი მოსაზრებით უნდა ამოხსნან სტუდენტებმა (აღნიშნული არ მოიცავს ცალკეულ შეკითხვებს ან ლიტერატურას); შეადგინეთ მოკლე და მარტივი დავალებები; დარწმუნდით, რომ სტუდენტებს საკმარისი სივრცე აქვთ აღნიშნული თემის აღმოსაჩენად და გასაშლელად



ექსპერიმენტი და გაზიარება: განიხილეთ კოლეგებთან ერთად, მაგრამ ასევე გამოკითხეთ სტუდენტებიც, რომ აღმოაჩინოთ რას ფიქრობენ ისინი

სიმულაციები სოციალურ მეცნიერებებში

უზარმაზარი მოქნილობა, რომელსაც სიმულაციები სთავაზობს ინსტრუქტორებს, წარმოადგენს უსაზღვრო შესაძლებლობას შეისწავლონ მასალები ახალი, სახალისო და დასამახსოვრებელი გზებით. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრი, ვინც სიმულაციებს იყენებს სწავლებისას, არიან ისინი, ვისაც ამ კუთხით თავად აქვთ მიღებული გამოცდილება. არ იქნება გაზვიადებული, თუ აღვნიშნავთ, ძალიან მწირი კონკრეტული სასწავლო გამოცდილებიდან უმეტესი წილი თავის ავტორს მიღებული აქვს სიმულაციების გზით მიღებული საკუთარი განათლებიდან; ეს გახლავთ მიდგომა, რომელიც ამყარებს კავშირს სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინებს შორის.

სიმულაცია გვთავაზობს შესაძლებლობას "ვიცხოვროთ იმ ფენომენის სამყაროში", რომელსაც ჩვენ იმ მომენტისათვის ვსწავლობთ, სწორედ ამ „ცხოვრებაში“ მოდის სწავლა გაცილებით ღრმა გზით, რომელიც ჩართავს პროცესში სტუდენტებს მათგან ამ „სამყაროს“ პირადი მოდელის შექმნის მოთხოვნით, ასევე, მოთხოვნით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს ჩართვა: თუ წარმოვიდგენ, რომ ვარ ალბანელთა იმ დანაყოფის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია საკუთრების უფლებაზე, და მე უნდა ჩავერთო იმიტირებული ინტერაქტივში ევროკომისიის ოფიციალურ პირებთან, მაშინ ამ გზით მე შემიძლია ბევრად უფრო დახვეწილად გავიაზრო და გავაანალიზო ევროკავშირში ალბანელთა გაწევრიანების ძალისხმევის მნიშვნელობა, ვიდრე ამას იმავე საგნის შესახებ ლექციიდან მოვახერხებდი.

განმარტება

თუმცა, სიმულაციები სცილდება აქტიური სწავლების დაშვების ფარგლებს. კერძოდ, შეიძლება ითქვას, რომ ისინი განასახიერებს ორ ძირითად იდეას. პირველი, ეს არის მოსაზრება, რომ მსოფლიო (ან, თუნდაც, კონკრეტული მოვლენა, რომელიც გვანტერესებს) შეიძლება იქნას მოდელირებული, რომლითაც ჩვენ ვხვდებით, რომ შედარებით მარტივი წესების ერთობლიობამ შესაძლებელია ერთ კავსულაში მოაქციოს მოცემული სიტუაციის საფუძვლები. ამ წესებმა შეიძლება მიიღოს გარკვეული სახის გადაწყვეტილების მიღების არქიტექტურული ფორმა (მაგ.: ხმის მიცემის უფლება, სტრუქტურული ურთიერთობები მონაწილეებს შორის და ა.შ.), ან შეიძინოს პირადი ან ინსტიტუციური თავისებურებები (მაგ.: ლტოლვა ძალაუფლებისადმი, ან სარგებლის ოპტიმიზაცია), ან ჰქონდეს შემთხვევითი მოვლენების ფორმა (მაგ.: კამათლის გამოყენებით ქაოტური სიტუაციების გენერირება). ამდენად, მარტივი სიმულაცია, მოლაპარაკებების დინამიკისა და გამოკვლევების შესახებ სხვადასხვაგვარ დაშვებას აკეთებს, რომელთა მიხედვითაც მონაწილეთა დიდ ჯგუფებს უჭირთ მიიღონ გადაწყვეტილება ეფექტურად, მონაწილეებს შემოაქვთ პირადი მსოფლმხედველობა მოლაპარაკებებში და რომ დროის მართვა/მენეჯმენტი არ არის უპირველესი საზრუნავი მოლაპარაკებების დროს. (იხილეთ სასარგებლო ინსტრუმენტარიუმის რესურსები მარტივი სიმულაციების სანახავად ქვემოთ მოცემულ ბმულში); ერთად აღებული, ყოველი აღნიშნული ჰქმნის სცენარს, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს აღიქვან და გამოსცადონ იგი

პირდაპირი გზით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული მათგანისთვის.

მეორე დაშვება არის ის, რომ სამყარო არის კომპლექსური, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვხვდებით, რომ ასეთი მარტივი წესებისა და ადამიანის ურთიერთქმედების ქაოტური ბუნების გამო შედეგები არსებითად გაურკვეველი და არასწორხაზოვანია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ჩვენ ვატარებთ სიმულაციას, ჩვენ ამას ვაკეთებთ იმ შეგნებით, რომ ორივე – პროცესიც და შედეგებიც – ცვალებადი იქნება გამეორებიდან გამეორებამდე, და, მართლაც, სწორედ ეს არაგანჭვრეტადობა გვსურს გადავცეთ სტუდენტებს. თუ დავუბრუნდებით მარტივი თამაშის წესებს, რომელიც ნახსენებია წინამორბედ პუნქტში, თითოეული მისი გამეორება განსხვავებულ მიდგომებს, იდეებს, პრაქტიკას და შედეგებს მოგვცემს. ეს შეიძლება იყოს საფრთხის ქვეშ მყოფი ქალაქის დაცვა იმ ვითარებაში, როცა თავდასხმის შესახებ ინფორმაცია არ გაქვთ, ან სიტუაცია ვითარდებოდეს ქალაქიდან თქვენი ჯარისკაცების გასაყვანი პრეზიდენტის ლიკვიდაციისას!

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსი:



ვიდეო: როგორ ჩავატაროთ სიმულაციური თამაშები, მცირე კრიზისის მაგალითი: <http://bit.ly/1GYFdk9>

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ როგორ მუშაობს სიმულაციები, როგორ მივიღოთ საუკეთესო გამოცდილება მისგან, როგორ გავუმკლავდეთ ამ პროცესში წარმოშობილ პრობლემებს და როდის შევწყვიტოთ ის. იმედი გვაქვს, ყოველივე ეს გაადვილებს სწავლისა და სწავლების რეალურად შთამბეჭდავი სფეროს აღმოჩენისკენ მიმავალ გზას.

მეთოდის აღწერა

ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასმული კითხვა სიმულაციების შესახებ მარტივ განმარტებას ეხება: რა არის სიმულაცია? ეს იგივეა რაც თამაში, თუ საქმე გვაქვს როლის მორგებასთან? არის თუ არა ეს პრობლემაზე ან კვლევაზე დაფუძნებული

სწავლება? მოიაზრებს თუ არა იგი რაღაც განსაკუთრებულს?

მარტივი ტერმინებით, სიმულაცია არის რეალური ვითარების რეკრეაცია, რომელიც შექმნილია სიტუაციის ძირითადი ელემენტების შესასწავლად; ეს არის გამარტივება და ესენციალიზაცია გარკვეული ობიექტისა ან პროცესისა, რომელიც საშუალებას აძლევს მონაწილეებს, განიცადონ და გამოსცადონ ეს ობიექტი ან პროცესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვიღებთ რეალური სამყაროს რაღაც გარკვეულ ელემენტებს და ვქმნით მარტივ სივრცეს, რომელიც უნდა განვიხილოთ და შევიდეთ ურთიერთქმედებაში.

თუმცა, ამ ძალიან ფართო განმარტების მიღმა, სიმულაცია არის ის, რასაც თქვენ შექმნით ამ პროცესიდან. როგორც ეს სახელმძღვანელო მეტყველებს, სიმულაციები მოიცავს საქმიანობათა ფართო სპექტრს, ძალიან მარტივიდან და მოკლედან ღრმად ჩართულსა და ფართომასშტაბურამდე.

თამაშების ტენდენცია მიმართულია მარტივი დაბოლოების სპექტრისაკენ - როგორცაა მაგალითად, ძალიან სტილიზებული გარემოს შექმნა - ამავე დროს, იგი შეიძლება ეხებოდეს ვიდეო თამაშების და სერიოზულ თამაშებთან დაკავშირებულ სამყაროსაც. როლური თამაშები არსით მსგავსია სიმულაციებისა, თუმცა, უფრო მკაფიო აქცენტი კეთდება კონკრეტული როლის მორგებაზე. დაბნეულობის შესამცირებლად, "სიმულაცია" გამოიყენება ამ გზამკვლევის საფუძველზე ყოველივეს მოსაცვლად; მიუხედავად იმისა, რომ სიმულაციას ბევრი საერთო აქვს პრობლემაზე და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებასთან, ამ უკანასკნელს არ ახასიათებს იგივე ძირითადი აქცენტი რეალური სამყაროს სიტუაციების რეკრეაციაზე, ამდენად რაღაც განსხვავებულ კატეგორიაში ჯდება.

ამ პედაგოგიური მიდგომების საერთო მახასიათებელი თვისება არის ის, რომ მსოფლიო შეიძლება შემოტანილ იქნეს საკლასო ოთახში იმგვარად, რომ ეს საშუალებას აძლევდეს მონაწილეებს, აქტიურად ითანამშრომლონ და ჩაერთონ მასალაში; მოკლედ, ეს გვთავაზობს შესანიშნავ გზას, რათა სტუდენტებმა მიიღონ და განივითარონ ცოდნა და უნარ-ჩვევები იმ გარემოში, რომელსაც ისინი აკონტროლებენ. მასწავლებლისთვის კი ეს ხსნის ახალ სივრცეს ურთიერთქმედებისა და მოძრაობისა, ასევე აქცენტს აკეთებს სტუდენტზე მორგებულ სწავლებაზე. აღნიშნული ყველაზე მარტივადაა გადმოცემული ანდაზაში (Hertel & Millis; 2002, გვ. IX): "მესმის და ვივიწყებ. ვხედავ და მახსოვს. ვაკეთებ და მესმის. "

ყოველივე ეს დაგვეხმარება, ვიფიქროთ ზოგიერთ ძირითად როლზე, რომელიც რელევანტურია სიმულაციებში. კერძოდ, **თამაშის დიზაინერი** არის პირი (ან რამდენიმე ადამიანი), რომლებიც ადგენენ სიმულაციის მიზნებსა და წესებს, ხოლო **თამაშის ლიდერი** არის ადამიანი, რომელიც ფაქტობრივი წარმართავს სიმულაციას (**თამაშს**): ხშირად ეს არის ერთი და იგივე ადამიანი, ანუ თამაშის დიზაინერი. თამაშში შესაძლოა, იყვნენ ასევე **დამკვირვებლები**, რომლებიც პასიურ როლში არიან. და ბოლოს, ჩვენ გვყავს **მონაწილეები** (როგორც წესი, სტუდენტები მოცემულ კონტექსტში).

სასწავლო მიზნები

სიმულაციების გამოყენება გულისხმობს რიგი კითხვებისა და პრობლემების არსებობას. ამ სექციაში გადავხედავთ მათ, რათა ნათელი მოვფინოთ ამ საკითხებს.

რატომ ვიყენებთ სიმულაციებს?

სიმულაციები გთავაზობთ ძალიან განსხვავებულ მიდგომას სწავლისა და სწავლების კუთხით; იგი ხსნის ახალ სასწავლო სივრცეებს სტუდენტებისთვის და სთავაზობს ახალ შესაძლებლობებს ინსტრუქტორს. იგი დაგეხმარებათ გამოავლინოთ სოციალური მეცნიერების მიღმა არსებული ზოგიერთი ფუნდამენტური პრინციპი. ჩვენი ძალისხმევით ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენს ირგვლივ სამყაროს მოდელი შედარებით მარტივი კონცეფციებით, ხოლო მოგვიანებით იმ სირთულეებით, რომლებიც ჩნდება ამ მარტივი იდეებიდან.

რას იღებენ ჩემი სტუდენტები აქედან?

სტუდენტებს იღებენ "ცოცხალ გამოცდილებას", მოირგონ როლები თუ პოზიციებით და ისინი აქტიური გზით გამოიყენონ. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სტუდენტის მიერ ხშირად რთული საკითხებისა და სიტუაციების შესახებ უფრო ღრმა შემეცნებას, ასევე, შესაძლებლობას აძლევს მათ განვიითარონ ცოდნის ფართო

სპექტრი (მაგალითად, კვლევა, პრეზენტაცია, მოლაპარაკები, ასახვა), რომელსაც მნიშვნელოვანი ღირებულება აქვს. სწავლის პასიური მოდელიდან აქტიურში გადასვლით, სტუდენტებს შეუძლიათ უკეთ გაიაზრონ, თუ როგორ ერგება და შეესაბამება მათ მიერ კლასში გატარებული დრო გარე სამყაროს.

რას ვიღებ მე ამისგან?

ინსტრუქტორს სიმულაციები სთავაზობენ ახალ გზას, ასწავლონ მასალა, გადაიტანონ აქცენტი სტუდენტთა მიერ მასალის გაგებასა და გამოცდილების შეძენაზე, დაიწყონ დებატები და ანალიზი. მიდგომებში ცვლილებები შესაძლებლობას იძლევა ჩაერთონ სტუდენტები სხვადასხვა გზით, ამით შეცვალონ ჯგუფის დინამიკა და ჯგუფს საკუთარი იდენტურობა შესძინონ. გარდა ამისა, პასუხების მრავალფეროვანება მოცემულ სიმულაციაზე დაგეხმარებათ თქვენთვის უკვე კარგად გარკვეულ მოვლენებს ახლებურად შეხედოთ.

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსი: ვიდეო: **რატომ ვიყენებთ სიმულაციებს?**

<http://bit.ly/1Bs8A9V>

ვიდეო: **რას იღებენ ჩემი სტუდენტები აქედან?**

<http://bit.ly/1CdJlvF>

ვიდეო: **რას ვიღებ მე ამისგან?** <http://bit.ly/190rnCv>

მასწავლებლის როლი

რა არის მასწავლებლის/ ინსტრუქტორის როლი?

ეს საკმაოდ რთული კითხვაა, მაგრამ, როგორც წესი, რჩევა იქნება, სიმულაციაში თქვენი როლი იყოს მაქსიმალურად მცირე მოცულობის; მიზეზი მარტივია, ესაა თქვენი სტატუსი: თქვენ მასწავლებელი ხართ (ფაქტიურად, „მარკერი“), ყოველივე, რასაც თქვენ შეასრულებთ, ატარებს არაპროპორციული წონას და განზე რიყავს ყველაფერს. ბევრად უკეთესია, ჩამოაყალიბოთ სიმულაციური გარემო წინასწარ და მისცეთ სტუდენტებს თავისუფლება, რათა აკეთონ ის, რაც უნდათ.

აღნიშნულის შედეგი ის არის, რომ თქვენი როლი წინასწარ დადგენილი თამაშის

დაკვირვება და შემდგომ – განხილვა/უკუკავშირის დადგენა უნდა იყოს. ამ გზით, თქვენ პატივს სცემთ სტუდენტების მოქმედებებს და მხოლოდ ასე ეხმარებით მათ სწავლების კონტექსტუალურიზაციაში უფრო ფართო მასშტაბურ გარემოში.

მთავარი სირთულე აქ მდგომარეობს უკონტროლობაში, განსაკუთრებით სიმულაციის მიმდინარეობისას, როდესაც სტუდენტები იწყებენ ისეთი რაღაცების კეთებას, რაც თქვენთვის მოსალოდნელი არ არის. სამწუხაროდ, ეს გვარდება გამოცდილების და პრაქტიკის ზრდის პარალელურად. მაშინაც კი, როდესაც ეს მაგალითი ისე არ იმუშავებს, როგორც თქვენ გეგონათ, განხილვის გზით მაინც ხდება დიდი რაოდენობით ინფორმაციის დასწავლა.

მე უბრალოდ კუთხეში უნდა ვიჯდე, ვიდრე ისინი ამას აკეთებენ, არა?

სულაც არა. სიმულაციები არაფერია რეკომენდაციების გარეშე, ასე რომ, იგი თქვენგან მოითხოვს ამას. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პროცესის დროს უნდა გააკეთოთ ჩანიშვნები, ვიდეო, ფოტო–აუდიო გადაღებები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა დააფიქსიროთ, თუ რა ხდება ოთახში: ამას ეწოდება სიმულაციის მოცულობისა და ხანგრძლივობის ფუნქცია. ერთი რამ, რაც უნდა გვახსოვდეს, არის ის, რომ ერთ ადამიანს არ შეუძლია ბევრი რამის დანახვა გარკვეული რაოდენობის ჯგუფის მიღმა. ასე, რომ თუ ჯგუფი დიდია თქვენ დაგჭირდებათ უფრო მეტი დამხმარეების შემოყვანა, მით უმეტეს, თუ მოსწავლეებმა უნდა გაიარონ ტესტირება იმასთან დაკავშირებით, თუ რა აქვთ გაკეთებული თვითონ სიმულაციებში.

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსი: ვიდეო: უკუკავშირი: <http://bit.ly/190wRND>

გაკვეთილზე და გაკვეთილის განმავლობაში

როგორ უნდა შევექმნა ჩემი საკუთარი სიმულაცია?

რთული კითხვაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ სხვადასხვა შესაძლო სიმულაციების იმდენად მოცულობითი მასშტაბურობა, რომ აღნიშნული უფულვებელყოფს სტანდარტული მოდელების შექმნას, მაინც შესაძლებელია გარკვეული ძირითადი ნაბიჯების მიმოხილვა. პირველ რიგში, თქვენ უნდა

დაადგინოთ ცენტრალური პაზლი/თავსატეხი, რომელიც გასურთ დაამისამართოთ სტუდენტებისადმი: ეს შეიძლება იყოს თეორიული კონცეფცია, ან პრაქტიკული მაგალითი. ეს ყველაზე თავსატეხი ნაწილია, მას შემდეგ, რაც ძირითად – ცენტრალურ იდეას შეიმუშავებთ, შედარებით ადვილად შეგიძლიათ იმუშაოთ შემდეგი კითხვების გამოყენების მეშვეობით: რა სახის ინტერაქციას გამოიყენებთ, რათა შეისწავლოთ იდეა (მაგ ფორმალური შეხვედრა, როლური თამაში, მოლაპარაკების დოკუმენტის შემუშავება)? რამდენი სტუდენტი ითამაშებს? რამდენი დრო გაქვთ? დაგჭირდებათ შეფასება?

გამომდინარე იქიდან, რომ განმარტება შეიძლება საკმაოდ აბსტრაქტული იყოს, ასევე შეგიძლიათ უყუროთ ქვემოთ მოცემულ ვიდეოს, საიდანაც ვიღებთ პრაქტიკულ მაგალითს (ამ კრიზისის სიმულაციური თამაშისთვის). არსებობს, ასევე, სავარჯიშოები, რომელთა მეშვეობითაც გაივლით ამ პროცესს.

არის თუ არა ეს დიდი სამუშაო?

მოკლე პასუხი: დიახ. უფრო გრძელი პასუხი: დიახ, მაგრამ საამისოდ ღირს. სიმულაციებს დრო სჭირდება, რათა შეიქმნას და დაიხვეწოს, ისევე, როგორც ეს მოითხოვს აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად, დაკვირვებას სიმულაციის მანძილზე და რეკომენდაციების ფორმულირებას სიმულაციის დასრულების შემდეგ. თუმცა, შეგიძლიათ განმეორებით გამოიყენოთ ბევრი რამ შემდგომი ძალისხმევით. კომპენსაცია მოდის გამოცდილებასთან ერთად, რომელსაც იგი სთავაზობს სტუდენტებს, და ემსახურება არა მხოლოდ მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემუშავებას, არამედ მათ ჩართულობას სწავლაში.

როდესაც სიმულაციის მომზადების დასრულების ეტაპზე ხართ, დაუსვით საკუთარ თავს ქვემოთ მოყვანილი კითხვები, რათა შეამოწმოთ, ხართ თუ არა ჯერ კიდევ პროცესის გზაზე:

კითხვები, რომლებიც აისახება სიმულაციებიდან სოციალურ მეცნიერებაში:

სიმულაციის ცენტრალური მიზანი კვლავაც მკაფიოა, ანუ არის კი იგი კონცეპტუალურად ნათელი?

შეიძლება თუ არა სიმულაცია აიხსნას მოთამაშეებისთვის მარტივად, ანუ პრაქტიკულად ხელმისაწვდომი გზით?

- ✓ არის თუ არა მოთამაშეებზე გადანაწილებული სამუშაოს მოცულობა გონივრული და პროპორციული, ანუ პრაქტიკულად ეფექტური?
- ✓ რა არის ყველაზე ცუდი, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს თამაშს, მაგ.: შესაძლებელია თუ არა არასწორი გეიმფლეი, ანუ არის თუ არა იგი საიმედო?
- ✓ შეიძლება თუ არა სხვა გზით ყველა მიზნის მიღწევა სიმულაციის გარეშე, ან ღირს თუ არა მოცემულ საკითხზე სიმულაციის კეთება?

რამდენად რთული უნდა იყოს?

ცოტა არი იყოს, ეშმაკური კითხვაა, რადგანაც პასუხი მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. სიმულაციებში ჩართული ახალი წევრებისთვის საჭიროა რაღაც მარტივი, და შემდეგ მისი ამოქმედება; მთავარია გვახსოვდეს, რომ თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, მთავარი მიზანი კვლავაც მკაფიოა ყველა ჩართული პირისთვის; დამატებითი სირთულით შეიძლება უკეთ აისახოს რეალობა მოცემულ სიტუაციაში, თუმცა ამან შეიძლება გამოიწვიოს იმ მთავარი იდეის ჩარჩოებიდან გასვლაც, რომლის მიტანაც გასურდათ და შედეგად შესაძლოა ჰქონდეს გარკვეული მოულოდნელი ეფექტები.

სასარგებლო ინსტრუმენტების ვიდეო რესურსი:

პრაქტიკული მაგალითი: <http://bit.ly/1E4SV7y>

როგორ შევქმნათ სიმულაციური თამაშები, მცირე კრიზისის იმიტაცია–სავარჯიშო:
<http://bit.ly/1bxiNNo>

ვიდეო: როგორ უნდა შევქმნა ჩემი საკუთარი სიმულაცია? <http://bit.ly/1BOhNcK>

ვიდეო: არის თუ არა ეს დიდი სამუშაო? <http://bit.ly/1E4Ovxp>

ვიდეო: რამდენად რთული უნდა იყოს? <http://bit.ly/1yd9y9G>

შეგიძლია თუ არა ამის კეთება ონლაინ რეჟიმში?

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. თუმცა, მაინც უნდა გაიაროთ ყველა ეტაპი, რაც აქ იქნა განხილული. ყველაზე მარტივად, ონლაინ არხები შეიძლება გამოყენებულ იქნას პირისპირ სიმულაციის დროს (ელ–ფოსტა, IM, Twitter, და ა.შ.) ან ერთობლივი დოკუმენტების (wikis) შესაქმნელად. ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება შესაბამისი იყოს სრული ონლაინ მოდელი (მაგ.: როდესაც ვიკვლევთ ონლაინ კომუნიკაციის გავლენას მოლაპარაკებებზე). თუმცა, სტუდენტებს შორის უშუალო ურთიერთობის ჩანაცვლება კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით ურთიერთობით ძირითად აზრს დაუკარგავს სიმულაციას.

რა შეიძლება იყოს სიმულაციის საგანი?

თითქმის ყველაფერი რაც მოგესურვებათ, თემები, რომელიც კარგად ჯდება სიმულაციის კონტექსტში წარმოადგენს შედარებით რთულ თემებს, სადაც მრავალი განზომილებაა და სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ დაინახონ როგორ ურთიერთქმედებენ ეს განზომილებები ერთმანეთთან. მარტივი კონცეფციების შემთხვევაში, სიმულაციები გთავაზობთ ძლიერ და დასამახსოვრებელ სასწავლო გამოცდილებას, მაგრამ, როგორც წესი, დაბალ კალორიულია, ანუ დიდი დრო მიდის გაცდენილი საკითხების გარკვევაზე.

სიმულაციის გამოყენება ყოველთვის მართებულია?

რა თქმა უნდა, არა. სიმულაციები არ არის ყველასა და ყველაფერზე მორგებული მექანიზმი, არამედ ის ერთ–ერთი საჭირო ინსტრუმენტია რომელიც გარკვეულ სიტუაციებში გვეხმარება. სიმულაციები ითხოვს სტუდენტებისგან ჩაერთონ სცენარში, ამდენად უნდა მოხდეს დაშვება, რომ მათ აქვთ საკმარისი წინასწარი ცოდნა მონაწილეობის მისაღებად და იქნებიან მოტივირებული, რათა მიიღონ ცოდნა სწრაფად. ეს ვარაუდები შეიძლება არ იქნას გამართლებული, ამიტომ აღნიშნული გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს. თქვენ უნდა გამოიყენოთ სიმულაცია გამოიყენოთ სიმულაცია მაშინ, როცა დარწმუნებული ხართ, რომ ის დამატებით ღირებულებას შესძენს პროცესს.

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსი: ვიდეო: საგანი: <http://bit.ly/1HLANkc>

ვიდეო: ონლაინ რეჟიმი <http://bit.ly/1EHpxiy>

ვიდეო: მუდამ მართებული <http://bit.ly/1HLAWnS>

შეფასება

უნდა შევამოწმო თუ არა სტუდენტები?

ეს თქვენზეა დამოკიდებული. როდესაც იწყებთ მოკლე და მარტივი სიმულაციით, ეს ჩვეულებრივია, მაგრამ არა აუცილებელი; თუმცა, თუ სიმულაცია ხდება უფრო დიდი ნაწილი საკონტაქტო დროისა სტუდენტებთან, მაშინ შეფასება შეიძლება აღმოჩნდეს სტუდენტის ჩართვის ზრდის გზა; არსებობს სამი ძირითადი პარამეტრი შეფასებისთვის:

- გამოსცადეთ სტუდენტის ცოდნა მათი სიმულაციის საფუძველზე. ეს შეიძლება გაკეთდეს სტანდარტული ესსეს ან გამოცდის მეშვეობით, როგორც წესი, როდესაც სიმულაცია წარმოადგენს იმ ელემენტებს, რასაც მოიცავს მოდულის სხვა სესიები;
- გამოსცადეთ სტუდენტის უნარ-ჩვევების განვითარება. ეს შეიძლება იყოს მათი ქმედებების დაკვირვება სიმულაციის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს, თუ როგორ გაუმკლავდებით მეორე და გარე-მარკირების ნებისმიერ მოთხოვნას: სესიის ვიდეო გადაღება შეიძლება საკმარისი იყოს, მაგრამ აუცილებელია შესაბამის მხარეებს შორის დისკუსიებიც;
- გამოსცადეთ სტუდენტთა კრიტიკული აზროვნება. აქ თქვენ სთხოვთ სტუდენტებს მოგვენ რეფლექსიური მონახაზი სიმულაციის შემდეგ, იმსჯელონ თავიანთი ქმედებების შესახებ, დასახონ გაუმჯობესება და ა.შ. ეს მიდგომა შეიძლება შეწყვილდეს ზემო ორთან და მოიტანოს სასარგებლო შედეგი, რითაც ხაზი გასემევა თვით-შეფასების მნიშვნელობას.

სასარგებლო ინსტრუმენტების ვიდეო რესურსი: უნდა შევამოწმო თუ არა სტუდენტები იმაში, რაც განახორციელეს? <http://bit.ly/1BOhNcK>

პრაქტიკული ასპექტები

რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს?

ესეც ემბაკური კითხვაა: თქვენ თავად გადაწყვიტეთ, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს. შემოკლებული სიმულაცია (30 წუთიდან ერთ საათამდე) შეიძლება იყოს ძალიან მარტივი ორგანიზაციის თვალსაზრისით, მცირე მომზადებით ან სულაც ამის გარეშე; უფრო ხანგრძლივი, როგორც წესი, მოითხოვს ვიფიქროთ მოსამზადებელი კითხვის ან საქმიანობის შესახებ, აგრეთვე, იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვათ ყველაფერი: თუ თქვენ ეძიებთ ერთდღიან ან მრავალდღიან ღონისძიებას, დღის წესრიგში დადგება განახლებისა და კვების საკითხი; პრაქტიკაში, მთავარი საკითხი ინსტიტუციურია - თქვენ გაქვთ იმდენი დრო, რამდენსაც გრაფიკი გაძლევთ; როგორც წესი, ეს გვიბიძგებს ხანმოკლე სიმულაციებისკენ, მაგრამ ასევე შეგიძლიათ დაყოთ ხანგრძლივი სიმულაციები პატარა და მოკლე ელემენტებად.

მჭირდება თუ არა სპეციალური ოთახი?

ნამდვილად არა, მაგრამ ყურადღებით უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რას აკეთებენ თქვენი სტუდენტები. კერძოდ, თქვენ უნდა იცოდეთ, თქვენი სტუდენტები საერთოდ აითვისებენ თუ არა ყოველივე ამას: თუ ასეა, მაშინ თავიდან უნდა ავიცილოთ ოთახი დამაგრებული ავეჯით (მაგ.: სალექციო თეატრები). ეს უკანასკნელი კარგია დებატებისთვის, მაგრამ ნამდვილად ხელს უშლის მოძრაობას. როგორც წესი, სტუდენტები უნდა ისხდნენ სივრცეში, სადაც შეიძლება ჯდომა და წერა, ასე, რომ ბინის ტიპის ოთახი საუკეთესოა. ისევ და ისევ, თქვენ შეიძლება შეზღუდული იყოთ თქვენი ინსტიტუციური გრაფიკით და ოთახის ხელმისაწვდომობით: თუ თქვენ დიდი ჯგუფი გყავთ, მაშინ შეიძლება განიხილოთ მათი დაყოფის ალტერნატივა მცირე ნაწილებად და სხვადასხვა ოთახებში გადანაწილება.

რამდენი სტუდენტები მჭირდება სიმულაციისთვის?

ერთიდან ზემოთ. ერთი მოთამაშის თამაში ჩვეულებრივ საჭიროებს კოლეგას (კომპიუტერის ან თამაშის სახით) და იშვიათია: სიმულაციების მნიშვნელობა მომდინარეობს მოთამაშეთა ურთიერთქმედებიდან. სადებატო მუშაობა საუკეთესოა 8-დან 20-მდე ადამიანს შორის (ანუ სასემინარო მუშაობისთვის გათვლილი ჯგუფი); ასე რომ დიდი ჯგუფები საჭიროებენ უფრო სტრუქტურირებულ დებატებს, სადაც როლებს თამაშობენ გუნდები ხელმძღვანელების მეთაურობით; საფრთხე დიდი

ჯგუფების შემთხვევაში არის ის, რომ ხშირად უმეტესი მოთამაშისთვის მცირე რამ რჩება გასაკეთებელი, ასე, რომ უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მივცეთ სასარგებლო ფუნქცია მათ (მაგ.: პარალელურად სესია).

სასარგებლო ინსტრუმენტების ვიდეო რესურსი: რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს?

<http://bit.ly/1HUpV0d> Video:

ვიდეო: მჭირდება თუ არა სპეციალური ოთახი? <http://bit.ly/19UmYSL>

ვიდეო: რამდენი სტუდენტი მჭირდება სიმულაციისთვის? <http://bit.ly/1EHpvar>

შეჯამება

როგორ შემიძლია რეკომენდაციები გავუწიო სტუდენტებს სიმულაციის შემდგომ?

როდესაც სადამკვირვებლო აღნიშვნებს აკეთებთ, აქცენტი გააკეთეთ სამ ძირითად ელემენტზე:

- მონაწილეები: ვინ რას აკეთებს? ვინ ხელმძღვანელობს და ვინ ასრულებს მითითებებს? ვინ არის იდეების ავტორი და ვინ – მსაჯი?
- პროცესი: რა ტიპის ურთიერთობაში არიან? რა არის სიმულაციის დინამიკა?
- შედეგები: რა არის შედეგი? თუ არსებობს დოკუმენტი, იგი "კარგია" თუ "რეალისტური"?

სიმულაციის დასრულებისთანავე (სასურველია, მაშინვე) დაიწყეთ კითხვების დასმა სტუდენტებისთვის და ალაპარაკეთ ისინი იმის შესახებ, რაც აღმოაჩინეს: ხშირად ისინი აკეთებენ ისეთ დასკვნას, რაც თქვენ გამოგრჩათ; ასე რომ კარგია დავანახოთ, რომ თქვენ აძლევთ სივრცეს მათი ასახვისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ დაამატეთ თქვენი დაკვირვებები და დააკავშირეთ იგი სხვა სასწავლო პროცესებთან. აჩვენეთ სტუდენტებს ვიდეო მათ შესახებ, რათა უკეთ შესძლონ გამოასწორონ ის, რაც ვერ დაიმახსოვრეს.

რა მოხდება, თუ ყველაფერი არასწორად წარიმართება?

ეს განსჯის საკითხია. ზოგიერთ ადამიანს სურს იყოს დარწმუნებული, რომ მათი სიმულაციები სწორედ იმ რელსებით წარიმართება, რომელზე დგომასაც ისინი გეგმავდნენ; სხვებს, მათ შორის, ავტორს, მიაჩნია, რომ სიმულაციების გამოყენება

სწორედ ის ნაწილია, რომელიც რელსებიდან გადმოსვლას გვთავაზობს; ეს უსაფრთხო გზაა სტუდენტებისათვის, რათა დაუშვან შეცდომები და შემდეგ ისწავლონ მათგან. ზოგადად რომ ვთქვათ, თუ სიმულაცია არ დასრულდება აგრესიული სახის ურთიერთობებით, მაშინ იგი არასწორად არ წარმართულა, არამედ, მოლოდინისაგან განსხვავებულად განვითარდა: სტუდენტები უნდა გააფრთხილოთ ამ შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ განსჯის გარეშე.

როგორ უნდა გავიგო, სწორად წარიმართა თუ არა სიმულაცია?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ შედეგს მივაღწიოთ. თუ იყენებთ შეფასების მეთოდს, მაშინ მოგიწევთ წარმატების შეფასება–გაზომვა, მაგრამ მაშინაც კი, თუ არ იყენებთ, რეკომენდაციის გაწევის პროცესმა უნდა მოგცეთ სტუდენტთა შინაგანი პოზიციის გააზრების შესაძლებლობა: არ შეგეშინდეთ ვკითხოთ მათ, რას ფიქრობდნენ და რა ეგონათ სიმულაცია, როგორც ასეთი; პროფესორისთვის მონაწილეთა მხრიდან რეკომენდაციის მიცემის პროცესი ყველაზე სასარგებლოა, რადგან ეს გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, თუ როგორ მუშაობს (ან არ მუშაობს) იგი - ამ მიზნით, თქვენ შეიძლება განიხილოთ საკუთარ კოლეგებთან გადათამაშების ალტერნატივაც.

სასარგებლო ინსტრუმენტების ვიდეო რესურსი: როგორ შემიძლია რეკომენდაციის გაწევა სტუდენტებისთვის სიმულაციის შემდგომ?
<http://bit.ly/1D1YTGg>

ვიდეო: რა მოხდება, თუ ყველაფერი არასწორად წარიმართება? <http://bit.ly/1OAN8tB>

ვიდეო: როგორ უნდა გავიგო, სწორად წარიმართა თუ არა სიმულაცია?

<http://bit.ly/19UowMA>.

პოტენციური სირთულეები

რომელი უდიდესი სირთულე ან პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას სიმულაციების გამოყენებისას?

სავარაუდოდ, უდიდესი სირთულე როგორც სტუდენტების, ასევე თქვენი როგორც ადამიანების მიდგომების შეცვლაში მდგომარეობს. სტუდენტებისთვის უნდა არსებობდეს მკაფიო მექანიზმი იმ გზავნილის გასაძლიერებლად, რომ სიმულაცია შეიძლება იყოს როგორც სახალისო, ასევე აკადემიურად ღირებული. სტუდენტებისთვის საშუალების მიცემას გათავისუფლდნენ საკუთარი თავისგან და უფრო თავისუფლად ისაუბრონ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ პედაგოგიკის უდიდესი ნაწილის განხორციელებაში: ჩვენ არ უნდა გავგიკვირდეს, თუ ზოგიერთ სტუდენტს ამასთან შეჩვევა დასჭირდება.

ეს ასევე საჭიროებს ადაპტაციას პერსონალის მიერ. სიმულაციები არსებითად გაურკვეველია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეიძლება მიუთითებდეს ზოგად მიმართულებაზე, მაგრამ ზუსტი არჩეული გზა არ იქნება ცნობილი მანამ, სანამ ამ გზას არ დაადგებით: საქმე იმაში არაა, რომ თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, თუ რა ხდება, უბრალოდ თქვენ გაურკვეველობაში იქნებით. ეს გაურკვეველობა მოითხოვს პერსონალისგან, რომ იყოს მონდომებული, გათავისუფლდეს აუდიტორიის კონტროლის ტრადიციული მოდელისგან. ლექციაზე თქვენ მთავარი ხართ, სტუდენტები გაჩუმებული არიან და თქვენ ხართ გამტარი იმ ყველაფრის, რაც „მნიშვნელოვანია“. სიმულაციის შემთხვევაში, თქვენ აყალიბებთ კონცეფციას, მაგრამ შემდეგ სტუდენტები იკავებენ წამყვან პოზიციას და აკეთებენ იმას, რაც თქვენს განზრახვას შეესაბამება. შემდეგ თქვენ უნდა მოისმინოთ მათი ანგარიში, რათა ნახოთ, თუ როგორ შეესაბამება ეს თქვენს იდეებს. მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ სტუდენტებთან ერთობლივად ქმნით ცოდნას.

თუ შეგიძლიათ მიაღწიოთ იმას, რომ ყველამ კომფორტულად იგრძნოს თავი მიდგომაში ამ ცვლილებითა და გაურკვეველობით, თქვენ შეძლებთ გაუმკლავდეთ პროზაულ საკითხებს, რომლებიც ამ სახელმძღვანელოს სხვა ნაწილებშიცაა განხილული.

რა მოხდება, თუ რაღაც არ გამოვა?

„არ გამოსვლა“ ძალიან საინტერესო მოსაზრებაა. საწყისი მომენტი უნდა იყოს იმის აღიარება, რომ სიმულაციები ყოველთვის განხორციელდება იმ სახით, რომელიც არ იყო სრულად პროგნოზირებადი, იმიტომ რომ ისინი ქმნიან სივრცეს მოთამაშებისთვის/სტუდენტებისთვის არჩევანის გასაკეთებლად. ამგვარად, „არ გამოსვლა“ სხვადასხვა კატეგორიებად უნდა დაიყოს.

თუ სტუდენტები განხორციელებენ სიმულაციას და დაასრულებენ იმით, რაც მიახლოებით იყო დაგეგმილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამან გაამართლა. ანალოგიურად, საბოლოო შედეგის მიუღებლობა ასევე შეიძლება ჩაითვალოს წარმატებად, რადგანაც ეს არის პროცესი, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი და ამ შედეგის მიუღებლობა შეიძლება/უნდა იყოს შედეგების შეჯამების ძირითადი ნაწილი. იფიქრეთ რეალურ ცხოვრებაში: კანონმდებლები ყოველთვის არ თანხმდებიან ტექსტზე ბოლოში, მაგრამ მისგან სასწავლებელი ჯერ კიდევ ბევრია (ალბათ, უფრო მეტიც, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ისინი დათანხმდებოდნენ).

წარუმატებლობა რეალურად შეიძლება მიჩნეულ იქნას განხორციელებულად, თუ სიმულაცია დაგეგმილისგან რადიკალურად განსხვავებულ აქტივობას წარმოშობს. ეს ძალიან იშვიათად ხდება და როგორც წესი, უფრო მარტივ სიმულაციებში: ამ შემთხვევაში არსებობს გარკვეული შეუსაბამობა წესებში, რაც არასწორ ქცევას ქმნის. იმიტომ უნდა იფიქროთ იმაზე, თუ როგორ ითამაშებენ მოთამაშეები მანამ, სანამ ითამაშებთ მათთან: იფიქროთ ისე, როგორც ისინი იფიქრებდნენ და მოძებნოთ მეგობრული კოლეგა, რომელზეც პრაქტიკას გაივლით. როგორც წესი, უფრო რთულ სიმულაციებს არ აქვს იგივე პრობლემა, მხოლოდ იმის გამო, რომ მათ

უფრო რთული წესები აქვთ, რომლებიც ზღუდავს ამგვარი მცდარობის შესაძლებლობას.

ქრონიკული წარუმატებლობის შემთხვევაში თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ როგორ მოიქცეთ: უფრო მცირე სიმულაციებისთვის, სავარაუდოდ უფრო ადვილია მათ შემცირების საშუალება მისცეთ; უფრო დიდი თამაშებისთვის, შეიძლება მიმდინარეობის პერიოდში ცვლილებები შეიტანოთ. თუმცა, თუ ამ უკანასკნელს განახორციელებთ, ფრთხილად იყავით, რომ არ ჩაგითრიოთ თამაშმა: ხშირად პრობლემა თავისთავად გამოსწორდება.

თუმცა, წარუმატებლობის შემთხვევაში, მაინც შეიძლება მიიღოთ გამოცდილება: სთხოვეთ სტუდენტებს გაითვალისწინონ, თუ როგორ და რატომ აღმოჩნდა სიმულაცია „წარუმატებელი“ და რა შეიძლებოდა/უნდა შეცვლილიყო ამის თავიდან ასაცილებლად. ეს რეალურად კარგი განსახილველი საკითხია ნებისმიერი სიმულაციისთვის: რამდენად შეესაბამება ის რეალურ ცხოვრებას?

მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფერი ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს არ გამოდის.

ინსტრუმენტთა ნაკრების სასარგებლო რესურსები:



სიმულაციების გამოყენებისას ბევრი რამ არის გასარკვევი, ამიტომ გთავაზობთ ძირითად საკითხებს. ქვემოთ მოცემულ ვიდეოში ასახულია იგივე საკითხის შემოკლებული ვერსია:

ტოპ რჩევების ვიდეოები <http://bit.ly/1M4gCRz>

ტოპ 10 რჩევა



1. განახორციელეთ მარტივად

ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია, რომელიც უნდა გახსოვდეთ! ძალიან ადვილია რაიმე რთულის შექმნა, მაგრამ როდესაც დაიწყებთ, დაიწყეთ მცირედებით. თქვენ შეგიძლიათ მარტივი სიმულაციის გაკეთება, რომელიც არ მოითხოვს ბევრს თქვენგან ან თქვენი სტუდენტებისგან. შეეცადეთ, რომ უფრო კომფორტულად იგრძნოთ თავი მისი გამოყენების პრაქტიკით და შემდეგ მეტი ელემენტი დაამატეთ მასში. თუ თავს კომფორტულად არ გრძნობთ, გაგიჭირდებათ სტუდენტებისთვის ახსნა ან მათი გადარწმუნება და ასევე ნაკლებ სავარაუდო გახდება, რომ მომავალში ხელახლა სცადო. გახსოვდეთ, რომ მარტივი სიმულაციებიც კი სწავლების დიდ შესაძლებლობებს ქმნის, ასე რომ საკუთარ თავს არ მოაკლოთ ეს სიამოვნება.



2 იცოდეთ, თუ რის გაკეთებას ცდილობთ

ეს არის სწავლისა და სწავლების საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, მაგრამ ის ადვილად ეძლევა დავიწყებას. სიმულაციის დროს, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მხედველობიდან არ გამოგრჩეთ სავარჯიშოს ცენტრალური არსი, მისი სასწავლო მიზანი. როგორც წესი, ეს უნდა იყოს რაიმე ფოკუსირებულ, ან მნიშვნელოვანი ცოდნის ნაწილი (მაგ. ცნება) ან უნარ-ჩვევების განვითარება (მაგ. მოლაპარაკება). ამ მიზნის გარშემო სიმულაციის შექმნისას, არ დაგავიწყდეთ იმის შემოწმება, რომ ეს მკაფიოდ მიიღწევა. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ თქვენ შეგიძლიათ ეს გადმოსცეთ თქვენს სტუდენტებს, როგორც სიმულაციის, ასევე დასრულების შემდგომ რეკომენდაციის მიცემის საშუალებით.



3 გჯეროდეთ, რომ სტუდენტებს შეუძლიათ საკითხების მოგვარება საკუთარი თავისთვის

სიმულაციების გამოყენებისას დიდი შიში იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ ვერ აკონტროლებთ იმას, თუ რა ხდება: ამის ნაცვლად, თქვენ ქმნით სცენარს და საშუალებას აძლევთ სტუდენტებს, რომ დამოუკიდებლად განახორციელონ ის. უფრო ხშირად ისინი გააკეთებენ რაიმე მოულოდნელს ან მოიქცევიან იმგვარად, რაც თქვენ არ გქონდათ განჭვრეტილი. ეს კარგია, რადგანაც გეხმარებათ მრავალი სხვადასხვა საშუალების გამოვლენაში, რომლითაც შეგვიძლია შევეჭიდოთ ამ პრობლემებს სოციალურ მეცნიერებაში. თქვენ უბრალოდ უნდა გჯეროდეთ, რომ სტუდენტები თავად შეძლებენ საკითხების გარკვევას. მოკლედ რომ ვთქვათ ეს ის პოზიციაა, როცა საჭმელს კოვზიდან არ აჭმევთ.



4 დაუკავშირეთ სიმულაცია სტუდენტების სწავლის გამოცდილების დანარჩენ ნაწილს

ერიდეთ იმას, რომ გახადოთ სიმულაცია „მოდულის დასასრული“, „ცოტოდენი გასართობი“ დროის გასაყვანად. ამის ნაცვლად, დაუკავშირეთ სიმულაცია სტუდენტების წინა ცოდნას, მოდულის დანარჩენ ნაწილში მათი სწავლის ფარგლებს და სწავლის მომდევნო ნაწილს. ეს ნიშნავს სტუდენტებისთვის გამოცდილების შექმნას.



5 ყოველთვის უზრუნველყავით რეკომენდაციის მიცემა

ყველაზე უარესი, რაც კი შეიძლება გააკეთოთ სიმულაციასთან დაკავშირებით, არის დაწყება და შემდეგ მისი მიტოვება. როგორც წინა პუნქტშია ხაზგასმული, რეკომენდაციის გარეშე, სტუდენტებს გაუჭირდებათ სიმულაციის ფარგლებში მათი გამოცდილების დაკავშირება სხვა საკითხებთან, რომლებსაც ისინი ეხებიან წავლისას. რეკომენდაციით უზრუნველყოფისას, ყოველთვის დაიწყეთ იმის გარკვევით, თუ რა ისწავლეს მათ და მხოლოდ ამის შემდეგ ისაუბრეთ თქვენი დაკვირვებების შესახებ.



6 აკონტროლეთ მოვლენები

რეკომენდაციის მიცემას სრულყოფილად შეძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ ახლოდან დააკვირდებით მოვლენებს. ეს განსაკუთრებით ამართლებს იმ შემთხვევაში, თუ ნიშნებს წერთ მონაწილეობისთვის, მაგრამ მაინც მოქმედებს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა ადგილი შეფასებას. გახსოვდეთ, რომ ძალიან რთულია მთელი პერიოდის განმავლობაში ერთდროულად ადამიანთა ჯგუფის კონტროლი, ამიტომ გაითვალისწინეთ მომხდარის დაფიქსირება ვიდეო, აუდიო ან ონლაინ ტექნოლოგიების მეშვეობით.



7 ახსნას უფრო მეტი დრო მიაქვს, ვიდრე თამაშს?

თუ ეს მოხდება, თქვენ კონცენტრაცია გაქვთ დაკარგული. იდეალურ შემთხვევაში, სიმულაცია უნდა იყოს მარტივი ასახსნელად და სასწავლად, მაგრამ რთული განხორციელებისა და შედეგების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში კარგი რჩევაა იმაზე დაფიქრება, თუ რა იწვევს სირთულეს, შემდეგ უნდა მოხდეს ამ ყველაფრის ამოღება ან ანალოგიური ან უფრო აბსტრაქტული სიტუაციის პოვნა. გახსოვდეთ, რომ სიმულაციების დროს, ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს სტუდენტებზე და არა თქვენზე.



8 გახსოვდეთ თქვენი დროისა და სივრცის შეზღუდვები

სამწუხარო სიმართლე ისაა, რომ ჩვენ ხშირად გვიწევს მუშაობა ჩვენს დროსა და სივრცესთან დაკავშირებულ შეზღუდვებთან, ამიტომ ეს უნდა გაითვალისწინოთ სიმულაციის შექმნისას. მართლაც, თქვენ შეგიძლიათ ამის გამოყენება იმისთვის, რომ აიძულოთ საკუთარი თავი იფიქროთ უფრო კრეატიულად იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიოთ თქვენს მიზნებს ამ შეზღუდვების ფარგლებში. გახსოვდეთ, რომ თუ გესაჭიროებათ რაიმე „დიდის“ გაკეთება, თქვენ შეგიძლიათ ეს დაყოთ მცირე ელემენტებად, რომლებიც ადვილად ერგება თქვენს განრიგს.



9 ითამაშეთ თავიდან!

ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნება, რომელსაც სიმულაციების განმახორციელებელი მასწავლებელი განიცდის, მაშინ დგება, როდესაც ერთი და იგივე სიმულაცია სხვადასხვა ადამიანებთან ხორციელდება. ის ნამდვილად ადგენს შედეგის მიღწევაში ადამიანის თანამონაწილეობის როლს, ყველა სოციალური მეცნიერების ძირითად პრობლემას, ასევე ანალიზისა და უკუკავშირის კიდევ ერთ დონეს გვაძლევს. თქვენ შეიძლება ორჯერაც კი განახორციელოთ სიმულაცია ერთსა და იმავე სტუდენტებთან, რათა ანახოთ მათ, თუ როგორ შეიცვალნენ ისინი. სიმულაციის განმეორებითი განხორციელება ასევე საშუალებას გაძლევთ შეავსოთ ის და ახალი ასპექტები დაამატოთ მას.



10 გაუზიარეთ თქვენი იდეები და გამოცდილება

სიმულაციების ფორმებისა და ტიპების მრავალფეროვნება ამ მიდგომის ერთ-ერთი უდიდესი პლიუსია, მაგრამ ასევე ბარიერიც. თუ შეგიძლიათ თქვენი გამოცდილებისა და იდეების გაზიარება, სხვები ამაში დაინახავენ საკუთარი სწავლების საჭიროებების დაკმაყოფილების ახალ გზებს და თქვენ შემდეგ უკუკავშირის მიღებას იმაზე, რაც უკვე განახორციელეთ.

ინსტრუმენტთა ნაკრების სასარგებლო რესურსები:



დამატებითი რესურსებისთვის იხილეთ შემდეგი დოკუმენტი:

- სიმულაციების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა

ელექტრონული სწავლება

მეთოდის აღწერა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში განათლებაში ტექნოლოგიის გამოყენების მასშტაბები იზრდება, დაწყებული ლექციაზე კომუნიკაციის მხოლოდ ონლაინ რეჟიმებიდან და დამთავრებული გარკვეული ინსტრუმენტების ან ვებ-აპლიკაციების გამოყენებით. იდეალურ ვითარებაში, ტექნოლოგია გამოიყენება *შემეცნებითი გამოცდილების შევსებისა და გაძლიერების მიზნით*. აქედან გამომდინარე, ელექტრონული სწავლების გამოყენების დაგეგმვისას ძირითადი ამოცანა პედაგოგიური ხასიათის უნდა იყოს: სწავლების მიზნების შესწავლა და სასწავლო პროცესში კონკრეტული საკითხების ან მომენტების განსაზღვრა, სადაც ტექნოლოგიას შეუძლია დამატებითი სარგებლობის მოტანა.

პირველ რიგში, საჭიროა სიცხადის შეტანა. არსებობს ოცამდე ტერმინი, რომელიც განათლებაში ტექნოლოგიის გამოყენებას ეხება (ელექტრონული სწავლება, განათლების ტექნოლოგია, სწავლების ტექნოლოგია, ტექნოლოგიურად განმტკიცებული სწავლება და ა.შ.). არამკაფიო ტერმინოლოგია ავლენს იმ ფაქტს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ *რთული, ინტეგრირებული სისტემის* შესახებ: ელექტრონული სწავლება ეხება არა მხოლოდ ფაქტიურ ინსტრუმენტებსა და ტექნიკას, რომელიც სწავლების მხარდასაჭერად გამოიყენება (პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა), არამედ ასევე უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ამ ინსტრუმენტების შემუშავებისა და ეფექტური გამოყენებისთვის, პედაგოგიურ გააზრებას იმისა, თუ როგორ შეიძლება ამ ინსტრუმენტების სათანადოდ გამოყენება და ასევე ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველაფერი შეუფერხებლად მიმდინარეობდეს. ამ სისტემის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ჩართულია *ერთად მომუშავე, სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ადამიანები* - პროფესორები, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპერები, სასწავლო პროგრამის შექმნელები. ეს ასპექტი არ უნდა იქნას არასათანადოდ დაფასებული, რადგანაც უკიდურესად მნიშვნელოვანია საერთო ენის გამონახვა და შესაფერისი სამუშაო პროცესის ორგანიზება სწავლებისა და სწავლის პროცესის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად.

ასევე არსებობს გაურკვეველობა *ელექტრონულ სწავლებასა და დისტანციურ სწავლებას* შორის. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ხშირად გამოიყენება ერთმანეთის ნაცვლად, მათ განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ. „დისტანციური განათლება“ კომუნიკაციის რეჟიმი უფროა, ვიდრე საგანმანათლებლო ფილოსოფია. მისი ძირითადი თვისებაა დისტანცია მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის; გარდა ამისა, ის ყოველთვის დაკავშირებულია ძალიან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო, არ შეუძლიათ სკოლის/უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ყოფნა. „*ელექტრონული სწავლება*“, მეორეს მხრივ, არ გულისხმობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის დისტანციის საჭიროებას, რადგანაც ის ხშირად შეიძლება ტარდებოდეს სკოლის/უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, საკლასო აქტივობებზე დამატებით. გარდა ამისა, ის არ შემოიფარგლება დისტანციური სტუდენტებით, გამოიყენება ყველა ტიპის მოსწავლეების მიერ, ყველა დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ელექტრონული სწავლება ნიშნავს სწავლებას ტექნოლოგიის გამოყენებით, იქნება ეს სკოლის/უნივერსიტეტის ტერიტორიაზე თუ დისტანციურად. ის შეიძლება იყოს დისტანციური სწავლება (მისი ნაწილი), მაგრამ აუცილებელი არაა, რომ ისინი სინონიმები იყოს.

ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა *მოქნილობაა*: სწავლის შესაძლებლობა ყველგან, სადაც ხართ და ყოველთვის, როცა ამას დაგეგმავთ. მაგრამ მოქნილი გრაფიკითა და *თვითრეგულირებული სწავლება*, მიუხედავად იმისა, რომ მოსახერხებელია,

საკმაო ხარისხის დისციპლინას მოითხოვს. ეს ეხება როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ თავი იგრძნოთ იზოლირებულად და ამგვარად, მოადუნოთ ყურადღება და მოტივაცია. აქედან გამომდინარე, ელექტრონული სწავლებისას, უფრო მეტად, ვიდრე ტრადიციული პირისპირ სწავლებისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს შემსწავლელი საზოგადოების შექმნას, როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მონაწილეობით. ამ „შემსწავლელი საზოგადოების“ მიზანია გაგების ხელშეწყობა და კრიტიკული აზროვნების წახალისება; ამავდროულად, ის საშუალებას აძლევს მონაწილეებს მოახდინონ საკუთარი თავის, როგორც *გგუფის იდენტიფიკაცია და განახორციელონ ეფექტური კომუნიკაცია*. ეს უკანასკნელი ასპექტი მნიშვნელოვანია ვირტუალურ გარემოში, სადაც პირისპირ კომუნიკაციის აშკარა სიგნალები არ არსებობს და შესაბამისად, შეიძლება საჭირო იყოს ზედმეტი ძალისხმევა.

ელექტრონული სწავლების შესახებ საუბრისას, შეგვიძლია განვასხვავოთ ორი ტიპის კომუნიკაცია: ასინქრონული რეჟიმი და სინქრონული რეჟიმი. ორივე ტიპს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები (რაც ქვემოთაა ჩამოთვლილი) და ამიტომაც შეიძლება ვინმე შეგვეკამათოს, რომ კარგი აზრია, ელექტრონული სწავლების კურსების განხორციელების დაგეგმვისას ორივე რეჟიმის გამოყენება და მათ შორის სწორი ბალანსის პოვნაზე ფიქრი.

ასინქრონული ელექტრონული სწავლება, როგორც წესი, იძენს სასწავლო პლატფორმის ფორმას, რომელსაც ეწოდება ვირტუალური სასწავლო გარემო ან სწავლების მართვის სისტემა. ტექნიკურად, ეს პლატფორმები შეიძლება იყოს უფასო, როგორცაა Moodle ან Chamilo, ან ფასიანი, როგორცაა, Blackboard. მათ აქვთ სტანდარტული მახასიათებლების ნაკრები და შემდგომში შეიძლება ადაპტირებულ იქნას, რათა საუკეთესოდ შეესაბამებოდეს სწავლების საჭიროებებს კონკრეტულ საგანმანათლებლო კონტექსტში. სტანდარტული (და ყველაზე ხშირად გამოყენებადი) მახასიათებლები მოიცავს ასახვის სხვადასხვა ფორმებს, როგორცაა ტექსტები, სურათები, ვიდეო და აუდიო მასალა. გარდა ამისა, გამოიყენება ფორუმები მასწავლებლებსა და შემსწავლელებს შორის და ასევე უშუალოდ შემსწავლელებს შორის ურთიერთქმედების ხელშეწყობისთვის. ასეთი პლატფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნას დამოუკიდებლად (ცალკე მდგომი კურსებისთვის) ან ტრადიციული კურსების მხარდასაჭერად; თუმცა, თითოეულ ამ შემთხვევაში, სწავლების მიზნები განსხვავებულია და ასევეა მოლოდინები ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად.

ასინქრონული ელექტრონული სწავლება

დადებითი მხარეები

- კომპლექსურია: დიდი რაოდენობის ინფორმაცია, სხვადასხვა ტიპის დავალებები, თვით-მონიტორინგი;
- უზრუნველყოფს დროს მოსაფიქრებლად; არაა საჭირო დაუყოვნებლივ პასუხის გაცემა;
- მოქნილი გრაფიკი (დროისა და მდებარეობის თვალსაზრისით)


უარყოფითი მხარეები

- ცოცხალი ურთიერთქმედების არარსებობა; შეიძლება გამოიწვიოს იზოლაციის შეგრძნება;
- მასწავლებლებთან უშუალო კონტაქტის არარსებობა;
- საჭიროებს დიდ თვით-დისციპლინას როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის (და მოლოდინების გამართლებას).

ვირტუალური სასწავლო გარემოს შემთხვევისგან განსხვავებით, *სინქრონულ ელექტრონულ სწავლებას* „ცოცხალი“, რეალური კომუნიკაცია მოაქვს. მას შეიძლება ჰქონდეს ვებინარების (ონლაინ სემინარების), ონლაინ კონფერენციების ან მომენტალური ჩატის (აუდიო და ვიდეო

ოფციებით) ფორმა. საგანმანათლებლო მიზნებისთვის შემუშავებული ვებ-კონფერენციების სხვადასხვა ინსტრუმენტები (არსებობს უფასო და ფასიანი ოფციები) უზრუნველყოფს სხვადასხვა ფუნქციებს, რომლებიც ამარტივებს ინტერაქტიულ სწავლების პროცესს. ტარდება შეხვედრები, რომლებზე დასწრებაც შეგიძლიათ მასწავლებლის/მოდერატორის მიერ სტუდენტებისთვის გაგზავნილ ბმულზე ერთხელ დაჭერით; დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფა არაა საჭირი და ორივე მხარეს საჭირო ტექნიკური მხარდაჭერა ძალიან შეზღუდულია. გაძლიერებულია ყურადღება წვდომაზე, როცა ვირტუალური საკლასო ოთახი წარმოადგენს შეთავსებად კროს-პლატფორმას და ოპტიმიზირებულია დაბალი გამტარუნარიანობისთვის. ინტერაქტიულობა ხორციელდება როგორც აუდიო (და ვიდეო), ასევე წერილობით ფორმატში. მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეუძლიათ აპლიკაციების, ფაილებისა და დოკუმენტების გაზიარება და პრეზენტაციების ჩატარება. გარდა ამისა, ყველა სესია, ყველა მასალისა და შეყვანის ფორმის ჩათვლით (წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური) შეიძლება ჩაწერილ იქნას და გაგზავნოს სტუდენტებს, რომლებიც ვერ ესწრებიან, ასევე დამსწრე სტუდენტებს, კურსის გამეორებაში ხელშეწყობისთვის.

სინქრონული ელექტრონული სწავლება



ონლაინ თანამშრომლობის მეთოდები

პლიუსები:

- გაზრდილი ურთიერთქმედების შესაძლებლობები (ხმოვანი კავშირი, ჩატი);
- აადვილებს სოციალურ ურთიერთქმედებას/“პარალელურ ურთიერთქმედებას”;
- ხელს უწყობს შემსწავლელთა საზოგადოებების განვითარებას;
- მასწავლებლებთან უშუალო კონტაქტი (სხვადასხვა როლებისთვის); სტუდენტების გაზრდილი ყურადღება და მოტივაცია

მაგრამ არსებობს რამდენიმე სირთულე:

- კომუნიკაცია რეალურ დროში ყოველთვის არ ნიშნავს თანამშრომლობას
 - ❖ ჯგუფური კოორდინაციის დაბალი დონე
 - ❖ სხვადასხვა ხელშემწყობი ფაქტორების სუსტი კავშირი
- არავერბალური კომუნიკაციის მინიშნებების ნაკლებობა ართულებს სტუდენტების მოტივაციის დონის შენარჩუნებას.

გარდა ზემოთ აღწერილი კომუნიკაციის ორი მეთოდიდან ერთ-ერთის ცალსახა არჩევისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა **ონლაინ ინსტრუმენტები** აუდიტორიაში და მის ფარგლებს გარეთ უფრო მოქნილი ფორმით. ისინი აფართოებს სასწავლო სივრცეს ვირტუალური განზომილების დამატებით და ეფექტური გამოყენების შემთხვევაში შეუძლია დამატებითი სარგებლობის მოტანა საგანმანათლებლო პროცესისთვის. მათი წარმატება პირდაპირაა დამოკიდებული იმ მასშტაბებზე, რომლითაც ისინი წარმოადგენს სასწავლო გეგმის განუყოფელ და სრულყოფილ ნაწილს და მათი გამოყენების მიზანი და მნიშვნელობა მკაფიოდ და თანაბრად უნდა ესმოდეთ მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

წარმოგიდგენთ რამდენიმეს ამ ინსტრუმენტებიდან, ასევე იდეას, თუ როგორ შეიძლება მათი გამოყენება:

ბლოგები: შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მიერ სხვადასხვა მიზნებისთვის; შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ინსტრუმენტი შიდა კომუნიკაციისთვის, მაგრამ ასევე შეიძლება ინტეგრირებულ იქნას სასწავლო გეგმაში და გამოყენებულ იქნას დავალებებისთვის, როგორც „უსაფრთხო სივრცე“, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მათი წერითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება შესაფასებელი ესეების წერის გარეშე;

რედაქტირებადი გვერდები: შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც პლატფორმა ერთობლივი მუშაობისთვის მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ; მასწავლებლებისთვის დამატებითი სარგებლობა მიიღება სასწავლო გეგმების შედგენისა და გაზიარების შესაძლებლობიდან, ასევე სწავლების საუკეთესო პრაქტიკისა და იდეებიდან; რედაქტირებადი გვერდები ასევე შეიძლება წარმოადგენდეს თემატურ პორტალს გაკვეთილების გეგმებისთვის, რაც კოორდინაციისა და თანამშრომლობის ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტი; სტუდენტებს შეუძლიათ რედაქტირებადი გვერდების გამოყენება ჯგუფურ პროექტებსა და დავალებებზე ერთად სამუშაოდ, ასევე სწავლების მხარდასაჭერად ცოდნის საცავის ერთობლივად შესაქმნელად.


პოდკასტები და ვებ-ლექციები: ჩაწერილი ლექციები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სწავლისას, ხოლო საკლასო დებატებისა და სიმულაციური თამაშების ჩაწერა და მათი თამაში შედეგების შემაჯამებელი სესიისას ძალიან სასარგებლო უკუკავშირის ინსტრუმენტი; ვებ-ლექციებსა ან ვებინარებს შეუძლია მასწავლებლებისა და სტუდენტების დაკავშირება სხვადასხვა უნივერსიტეტიდან (და ქვეყნებიდან) რეალურ დროში, რაც იდეებისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა გამგზავრების გარეშე.

სოციალური მედია: მისი გამოყენება განათლებაში დაკავშირებულია სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციასთან, რაც გულისხმობს სტუდენტებთან წვდომას და მათ გარემოში მათთან დაკავშირებას; ეს სულაც არაა რისკისგან თავისუფალი, რადგანაც კერძოსა და სახელმწიფოს, პირადასა და პროფესიონალურს შორის საზღვრები საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ განსაზღვრულ უნდა იქნას მკაფიო წესები სწავლების პროცესში ნებისმიერი სოციალური მედია პლატფორმის ინტეგრირებამდე; გარდა ამისა, სოციალური მედიის გამოყენების მიზნები და ის, თუ როგორ იქნება/თუ იქნება ის შეფასებული, საჭიროებს ძალიან მკაფიოდ ახსნას მასწავლებლების მიერ, რათა სტუდენტებმა იცოდნენ, თუ რას უნდა ელოდონ და შესაბამისად გამოიყენონ პლატფორმები.

ტვიტერი: შეიძლება გამოყენებულ იქნას მასწავლებლების მიერ „ვირტუალური სამასწავლებლოს“ სახით, რაც მათ საშუალებას აძლევს გაუზიარონ სწავლების იდეები და გაკვეთილის გეგმები კოლეგებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში; სტუდენტებს შეუძლიათ ტვიტერის გამოყენება სხვადასხვა (კლასგარეშე) დავალებების ფარგლებში, ძირითადად სტუდენტებისთვის იმის სწავლების მიზნით, თუ როგორ უნდა გადმოსცენ არსებითი ინფორმაცია სხარტად; გარდა ამისა, ტვიტერი კარგი საშუალებაა სტუდენტებისთვის, რომ ინფორმირებული იყვნენ უახლესი მოვლენების შესახებ მათი ინტერესის კონკრეტულ სფეროებში.

ფეისბუქი: ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მხარდაჭერის სისტემა სასწავლო აქტივობებისთვის, როგორცაა სიმულაციური თამაშები, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტების დიდი უმრავლესობა უკვე არის ამ პლატფორმაზე, ამიტომ მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ მათი ყოველდღიური კომუნიკაცია და მიაბან კურსის შინაარსს;

თუმცა, იმის გამო, რომ ფეისბუქს ხშირად აკრიტიკებენ პირადი მონაცემების დაცვის საკმაოდ სუსტი პოლიტიკის გამო, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საზღვრები კერძოსა და სკოლასთან დაკავშირებულს შორის არაა გადაკვეთილი და მასწავლებლები უნდა შემოიფარგლონ ამ პროცესში ნეიტრალური მსაჯის როლის შესრულებით.



ცოცხალი (სინქრონული) (ასინქრონული) მოთხოვნისამებრ

პირისპირ აუდიტორია	ცოცხალი ონლაინ რეჟიმში	მწვრთნელობა	თანამშრომლობა და საზოგადოება	მულტიმედია	ინტერნეტ სწავლება	შესრულების მხარდაჭერა
<ul style="list-style-type: none"> ფიზიკური აუდიტორია საველე გასვლები ლაბორატორია 	<ul style="list-style-type: none"> ვირტუალური აუდიტორია ვებინარი 	<ul style="list-style-type: none"> მწვრთნელობა მენტორობა 	<ul style="list-style-type: none"> პორტალის საიტი ბლოგი Wiki ჩატი თემატური დისკუსია VoIP 	<ul style="list-style-type: none"> ვიდეო სტრიმინგი პოდკასტები დისტანციური სწავლება CD-ROM/DVD 	<ul style="list-style-type: none"> ინტერნეტი/ინტრანეტი თვითრეგულირებადი სახელმძღვანელოები სიმულაცია თამაშები 	<ul style="list-style-type: none"> ცოდნის მართვა სამუშაო ნაკადის ავტომატიზაცია შესრულების მხარდაჭერა მობილური და უსადენო ინტერნეტი

წყარო:

<http://www.cognitivedesignsolutions.com/ELearning/BlendedLearning.htm>

სწავლების მიზნები

ტექნოლოგიის გამოყენებას შეუძლია სწავლებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერა და გაძლიერება. ის ასევე გავლენას ახდენს სხვადასხვა კურსებისთვის დასახულ სწავლების მიზნებზე. ცოდნის გადაცემის გამარტივების გარდა, ასახვის სხვადასხვა ფორმების (ტექსტი, ვიდეო, აუდიო და ა.შ.) გამოყენებას, ელექტრონული სწავლებას შეუძლია ხელი შეუწყოს:

▶ უნარ-ჩვევების განვითარებას: შემსწავლელი ავითარებენ ონლაინ რეჟიმში

ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარ-ჩვევებს და ამგვარად, სწავლობენ, თუ როგორ უნდა მოახდინონ მათი ინტერესის სფეროში მოვლენების მონიტორინგი; ისინი ასევე ავითარებენ წერის უნარ-ჩვევებსა და ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას;

- ▶ *ციფრული განათლება*: ონლაინ სწავლისა (და სწავლების) „გვერდითი პროდუქტია“ ჩვენი ციფრული კვალის შესახებ ცოდნა და იმაზე ფიქრი, თუ როგორ ვართ ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ჩვენს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.
- ▶ *თვითდისციპლინის გაუმჯობესება* სწავლის საშუალებით სწავლისთვის: როგორც თვითრეგულირებული პროცესი, წარმატებული ონლაინ სწავლება საჭიროებს მკაცრ დისციპლინას; სტუდენტები ახდენენ საკუთარი სასწავლო პროცესის ორგანიზებას და ამგვარად, იძენენ მათი დატვირთვის პრიორიტეტების განსაზღვრის ახალ უნარ-ჩვევებს, მათი მიზნების დასახვითა და ხელახალი შეფასებით, და მათ მისაღწევად დროის ეფექტურად გამოყენებით.

მასწავლებლის როლი

ტრადიციული საკლასო გარემოსგან განსხვავებით, სადაც მასწავლებლებს ძირითადად შინაარსის გადმოცემაზე უწევთ კონცენტრაცია, ვირტუალურ გარემოში მასწავლებლებს უწევთ სხვადასხვა როლების შესრულება, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია. განისაზღვრება როლების ოთხი კატეგორია:

- ▶ **ცოდნის მიმწოდებელი:** მასწავლებლის კვინტენსენციური ფუნქცია; ონლაინ სწავლებისას ლექტორის კათედრასთან სტატიკური დგომიდან გადადის უფრო დინამიურ და მრავალფეროვან სტატუსზე, რომელიც ითვალისწინებს ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერას ინფორმაციის ლაბირინთში; მასწავლებელი ასრულებს *კურატორის* როლს, რომელიც ახორციელებს არსებული ინფორმაციის მონიტორინგს და ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტებს ყველაზე მნიშვნელოვანი და სანდო წყაროების საშუალებით; ცოდნის შექმნა ხდება ერთობლივად, სტუდენტებთან ერთად.
- ▶ **ხელშემწყობი:** განათლების მუშაკები ასრულებენ დიალოგისა და გაზიარების ხელშემწყობების როლს; მათ სჭირდებათ ნაბიჯის უკან გადადგმა და ურთიერთქმედებისა და დებატებისთვის სივრცის შექმნა (რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიაში) შემსწავლელთა საზოგადოების შესაქმნელად; მასწავლებელი, როგორც *მწვრთნელი*, მუდმივად ავარჯიშებს სტუდენტებს და უზრუნველყოფს მათ მოტივაციას; არაიერარქიული ორგანიზაცია; მასწავლებელი, როგორც თანაშემსწავლელი.
- ▶ **კურსის შემდგენი:** კურსის შედგენისას, სასწავლო გეგმის შემუშავებისას, მისი ორგანიზებისას, შინაარსისა და სტუდენტთა აქტივობების მართვისას სტუდენტებთან კომუნიკაცია და მათი მოლოდინების გამართლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტრადიციული სისტემისას; ეს საჭიროებს მნიშვნელოვან თვითდისციპლინას და ყოველდღიური სამუშაოს დეტალურ ორგანიზებას, რომელიც ზოგჯერ მნიშვნელოვნად განსხვავდება პირისპირ გარემოში სწავლებისგან.
- ▶ **ტექნიკური მედიატორი:** ვირტუალური აუდიტორიისთვის სპეციფიკური როლი: პედაგოგი ხდება მედიატორი სტუდენტებს, კოლეჯის მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალს შორის; ამას ხშირად გამოჰყავს მასწავლებლები კომფორტის ზონიდან; მათ ესაჭიროებათ ახალი უნარ-ჩვევების განვითარება და განსაკუთრებით, ვირტუალურ სასწავლო გარემოსთან გაცნობა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და კოლეჯის მასწავლებლების ნდობას ონლაინ პლატფორმის მიმართ; იმის გამო, რომ ეს ასეთი სპეციფიკური როლია, სპეციალიზირებული სწავლების მუდმივი მხარდაჭერა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ონლაინ კურსების შეუფერხებელი განვითარებისთვის.

გაკვეთილამდე და გაკვეთილის პროცესში

კურსის შედგენისას პირველ ეტაპს წარმოადგენს *ანალიზი*. სასწავლო გარემოს განვითარებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომი და შესაფერისია სხვადასხვა გამოცდილებისა და სწავლის სტილის მქონე ადამიანებისთვის. მასწავლებელმა პირველ რიგში უნდა შეაფასოს, თუ ვინ არიან შემსწავლელები; უმეტესწილად ეს ხდება სტუდენტების პროფილის რეალურად გაცნობის გარეშე, მაგრამ წინა მსგავსი კურსების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამის შემდეგ, შესაძლებელია ძირითადი ეტაპები - *შედგენისა და შემუშავების* - დაწყება. ეს არის მომენტი, როდესაც მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას კურსის ზუსტ გეგმასთან დაკავშირებით და იწყებს ყოველკვირეული აქტივობებისა და დავალებების შემუშავებას. ასევე ამ ეტაპზე მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა უნდა იქნას გადმოცემული სინქრონულ და ასინქრონულ რეჟიმში. გასათვალისწინებელია, თუ როგორ შეიძლება კურსის ხანგრძლივობის ყველაზე ეფექტური გამოყენება. როგორც წესი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასინქრონული გარემო შეიძლება საუკეთესოდ იქნას გამოყენებული სტუდენტების სტიმულირებისთვის უფრო მეტი წარმოდგენილი რესურსის წასაკითხად და მათზე დასაფიქრებლად, ასევე სადისკუსიო კლუბებში ურთიერთქმედებისთვის და დავალებების წარდგენისთვის. აუცილებელი არაა, რომ სინქრონული მომენტები წარმოადგენდეს ონლაინ ლექციებს, მაგრამ ფოკუსირებული უნდა იყოს ჯგუფურ დისკუსიებზე სესიის დაწყებამდე წარმოდგენილ თემებსა და მასალებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ონლაინ გარემო ასახვის სხვადასხვა საშუალებების (ტექსტი, აუდიო, ვიდეო და ა.შ.) გამოყენების საშუალებას იძლევა და ამის შედეგად, მასწავლებლებს შეუძლიათ გადაწყვიტონ მათი შერევა, რათა უზრუნველყონ შემსწავლელები მოქნილობის გარკვეული ხარისხით იმ მიმართულებით, თუ როგორც აფასებენ, ამუშავებენ და ავლენენ ისინი ცოდნას.

განხორციელების ფაზის განმავლობაში, გასათვალისწინებელია *ხუთი მნიშვნელოვანი ასპექტი*:

1. *კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა*: კურსის დასაწყისში ძალიან მნიშვნელოვანია კარგად მოფიქრებული, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა; პრაქტიკაში, ეს მოიცავს სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმის, კურსის შინაარსის, გამოყენებული მეთოდების და ასევე გამოყენებული პლატფორმ(ებ)ის ტექნიკური მახასიათებლების გაცნობას;
2. *კომუნიკაცია და მხარდაჭერა*: უფრო მეტად, ვიდრე ტრადიციული კურსის შემთხვევაში, ონლაინ გარემოში მკაფიო და ზუსტი კომუნიკაცია და შემსწავლელთა მოლოდინების გამართლება ძირითადი მახასიათებლებია; მასწავლებლებს შეუძლიათ ვიზუალური ელემენტების (მაგ. დიაგრამების, დროის გრაფიკების, „თქვენი ყოველკვირეული თვალსაჩინო გრაფიკის“) გამოყენება, ასევე შეუძლიათ შეეცადონ შექმნან გარკვეული რეჟიმი, რომელიც შეიძლება დაიცვან სტუდენტებმა. ამან შეიძლება მიიღოს კვირის გარკვეულ დღეს მასალებისა და დავალებების დაპოსტვისა და მკაფიო ბოლო ვადების დადგენის ფორმა. გარდა ამისა, მასწავლებლებმა/პედაგოგებმა უნდა აუხსნან სტუდენტებს, თუ როდის და რა ფორმითაა ხელმისაწვდომი მხარდაჭერა (მაგ. ვირტუალურ სამუშაო საათებში, ელ-ფოსტის, სკაიპის საშუალებით და ა.შ.).
3. *სტუდენტთა ჩართულობა*: ონლაინ კურსის შემთხვევაში საჭიროა დამატებითი ძალისხმევის გამოყენება სტუდენტების ჩართულობისთვის

და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი დაბრუნდებიან ონლაინ რეჟიმში. რეგულარული ამოცანებისა და დავალებების გარდა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ თემები რაც შეიძლება რელევანტური გახადონ შესმწავლელთათვის, დაუკავშირონ ისინი მათ წინა გამოცდილებას. გარდა ამისა, სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით განხილულ უნდა იქნას სხვადასხვა სწავლის სტილის შესაძლებლობა, საიდანაც სტუდენტებს შეუძლიათ სასურველი მეთოდ(ებ)ის არჩევა.

4. *შემსწავლელი საზოგადოების ჩამოყალიბება:* ამ შემთხვევაში ყურადღება ფოკუსირებული უნდა იქნას სტუდენტების სტიმულირებაზე ერთმანეთთან და მასწავლებელ(ებ)თან ურთიერთქმედებისთვის; იქიდან გამომდინარე, რომ ურთიერთქმედება ონლაინ გარემოში არაა ისეთივე თვალსაჩინო, როგორც პირისპირ, მასწავლებლებმა წინასწარ უნდა მოამზადონ ამოცანები და სცენარები და იმოქმედონ კოორდინატორების სახით. სასწავლო მიზნების შესაბამისად, ურთიერთქმედება შეიძლება განხორციელდეს როგორც ასინქრონულ გარემოში (ერთობლივი ამოცანები, ფორუმზე განხილვა), ასევე სინქრონულ ვირტუალურ აუდიტორიაში (ვებინარები, ჩატები).
5. *შეფასება და უკუკავშირი:* შეფასების სხვადასხვა ფორმების დანერგვა, კურსის განმავლობაში, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა ტიპის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ტესტირება. კონსტრუქციული, განვითარებადი უკუკავშირი სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; ეს უკუკავშირი უნდა იყოს რაც შეიძლება დროული და პირადი. შეფასებისა და უკუკავშირის შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ამ სახელმძღვანელოს მომდევნო ორ ნაწილში.

შეასრულეთ მომდევნო აქტივობა იმის გასაგებად, თუ რა საჭიროებები უნდა იქნას გათვალისწინებული ელექტრონული სწავლების კურსების შემუშავებისას:

ამ აქტივობას სამი ეტაპი აქვს:

1. ელექტრონული სწავლების გამოყენების შესახებ ზოგადი ცოდნის გაღრმავება შეთავაზებული საკითხავების ჩამონათვალის დახმარებით; ძირითადი ელემენტების განხილვა, რომელიც გასათვალისწინებელია ელექტრონული სწავლების კურსების შემუშავებისას;
2. შეიმუშავეთ თქვენი საკუთარი მინი ონლაინ-მოდული, მოკლე აღწერის, შინაარსის (ტექსტი და მულტიმედია), დავალებების ჩათვლით;
3. ონლაინ კურსის შემუშავების პროცესის შეფასება კოლეგების მიერ და თვითნაწილი.

ნაბიჯი 1: წაკითხვა და მსჯელობა



ეს აქტივობა მოიცავს შეთავაზებული მასალის წაკითხვას და მასთან დაკავშირებით მოკლე აზრების დაწერას. თქვენ შეგიძლიათ დაწეროთ მხოლოდ ერთი სტატია ან უფრო ზოგადი მსჯელობები, რომლებიც დაკავშირებულია უფრო მეტ სტატიასთან და თქვენს პირად გამოცდილებასთან და პასუხობს მომდევნო ნაწილში წარმოდგენილ შეკითხვებს.

წასაკითხი აქტივობა, ნაბიჯი 1: წაკითხვა და მსჯელობა (იხ. თანდართული)

ნაბიჯი 2: ონლაინ კურსის/მოდულის შემუშავება



წასაკითხი აქტივობა, ნაბიჯი 2: ონლაინ კურსის/მოდულის შემუშავება (იხ. თანდართული)

ნაბიჯი 3: შეფასება კოლეგების მიერ და თვითნაწილი



წასაკითხი აქტივობა, ნაბიჯი 3: შეფასება კოლეგების მიერ და თვითნაწილი (იხ. თანდართული)

შეფასება

შეფასება სასწავლო პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, სწავლებისა და სწავლის ინოვაციური ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენება ყოველთვის არაა შეხამებული შესაფერის შეფასების ინსტრუმენტებთან. უმეტეს შემთხვევებში, სტუდენტების ტესტირება ხორციელდება ტრადიციული გამოცდების საშუალებით, ხშირად პირისპირ გარემოში. ონლაინ გამოცდები უფრო მისაღები ვარიანტი ჩანს, მაგრამ სტუდენტებისთვის ამის შეთავაზება გულისხმობს დამატებით ძალისხმევას (და ადმინისტრაციულ/საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას) მათი ვინაობის შესამოწმებლად. გარდა ამისა, ვებ-ინსტრუმენტებისა და სოციალური მედიის გამოყენების შეფასება შეიძლება რთული აღმოჩნდეს; ამ შემთხვევაში, მოწმდება არა ცოდნა, არამედ სტუდენტის მიერ გარკვეული ამოცანების *შესრულება*. ამ თავში ადრე ჩამოყალიბებულ სასწავლო მიზნებთან დაკავშირებით, იდეალურ შემთხვევაში, მასწავლებლები უნდა ცდილობდნენ უფრო მეტის შეფასებას, ვიდრე კონკრეტული შინაარსის ცოდნა; *ციფრული უნარ-ჩვევები* (ინფორმაციის მოძიება და დამუშავება ონლაინ რეჟიმში), ასევე მათი საკუთარი სწავლების მართვა ონლაინ რეჟიმში (ინფორმაციის მოძიება, გამოყენება, მასზე დაყრდნობა და ა.შ.) ასევე შეიძლება შემოწმდეს, მაგალითად, ვებ-ძიების, სქრინ-ქასტებისა ან ვიდეობის გამოყენებით.

როდესაც საქმე ეხება *შეფასების სხვადასხვა საშუალებებს*, მნიშვნელოვანია კურსის გავლისას სტუდენტების პროგრესის ტესტირების სხვადასხვა გზებით უზრუნველყოფა. ეს შეიძლება იყოს მომენტალური ონლაინ კითხვარი ან უფრო დახვეწილი ყოველკვირეული ამოცანები, რომლებზეც მასწავლებლები უზრუნველყოფენ რეკომენდაციების რეგულარულ მიცემას. ეს ეხმარება სტუდენტებს მათი სწავლების დამოუკიდებლად მართვაში და ამავედროულად მასწავლებლებს სთავაზობს დროებითი პლატფორმების უზრუნველყოფის საშუალებას, საჭიროებისამებრ.

პრაქტიკული ასპექტები

ონლაინ კურსების შემთხვევაში, არსებობს რამდენიმე კონკრეტული პრაქტიკული საკითხი, რომელიც გასათვალისწინებელია დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე. პირველ ყოვლისა, ტექნოლოგიის გამოყენების გამო, კურსის ვირტუალური ჩატარებისთვის გარკვეული სპეციფიკური მოთხოვნები არსებობს. პირველ რიგში, როგორც მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ *ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა*, რომელიც საჭიროა კურსის გარემოსთან წვდომისთვის. პლატფორმების უმრავლესობა ცდილობს ამ მოთხოვნების შეზღუდვას და ამგვარად, წვდომის გაძლიერებას; მაგრამ აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ ტექნოლოგიის ინტეგრირება სწავლებასა და სწავლაში ინვესტიციის სახით. გარდა ამისა, ინტერნეტთან წვდომა (*და ინტერნეტის სიჩქარე*) ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ონლაინ სწავლებისთვის, განსაკუთრებით სინქრონულ ელემენტებთან დაკავშირებით, როგორცაა ვებინარები. მაგრამ ამ წმინდა ტექნიკური ასპექტების მიღმა, ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ხშირად უგულებელყოფილია, არის გამოყენებული ტექნოლოგიის გაცნობისა და მისი ეფექტური გამოყენებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის აუცილებლობა. ეს ხშირად შეიძლება წარმოადგენდეს სირთულეს სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის და კურსის წარმატების უზრუნველსაყოფად ხშირად კარგი აზრია სპეციალური *ტრენინგ-სესიების* ორგანიზება, სახელმძღვანელოებისა და მკაფიო მითითებების უზრუნველყოფა, ასევე *მხარდაჭერა* მთელი კურსის განმავლობაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექნიკური მედიატორის როლმა შეიძლება გამოიყვანოს მასწავლებლები მათი კომფორტის ზონიდან, ამიტომ, რაც უფრო თავდაჯერებულად

იგრძნობენ ისინი თავს კონკრეტული ტექნოლოგიის გამოყენებისას, მით მეტად შეძლებენ ყურადღების კონცენტრირებას თავიანთ პედაგოგიურ მიზნებსა და მეთოდებზე, ასევე კურსის შინაარსზე და ამავდროულად, ხელი შეუწყონ სტუდენტებს სწავლაში.

ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ასპექტების გარდა, ელექტრონული სწავლების კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არაა *შეზღუდული დროსა და სივრცეში*. ამას აქვს როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები: ერთის მხრივ, ის უზრუნველყოფს *მოქნილობას* როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის; ხოლო მეორე მხრივ, როგორც მეტწილად თვითრეგულირებული აქტივობა, მოითხოვს მაღალი დონის *მოტივაციასა და დისციპლინას*.

შედეგების შეჯამება

კურსის შემუშავების პროცესის ბოლო ეტაპია *შეფასება*. ეს პროცესის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგანაც *რამდენიმე სასარგებლო სავარჯიშოს* მოიცავს.

- ▶ *შედეგების შეჯამება*: ეს შედეგება სტუდენტებთან (და კოლეგებთან) ღია დისკუსიისგან იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა კურსი და რა დონეზე იქნა მიღწეული სასწავლო მიზნები;
- ▶ *თვით-ანალიზი*: მან შეიძლება მიიღოს სხვადასხვა სახე, *თვითანალიზიდან* (საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზება) *კოლეგების მიერ შეფასებამდე*, როცა ადამიანი წარმოადგენს და იღებს კომენტარებს სამუშაოსთან დაკავშირებით.
- ▶ *უკუკავშირი*: ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი და ორი სახით ხორციელდება: ფიზიკური მანძილის გამო მასწავლებლებს რეგულარულად ესაჭიროებათ უკუკავშირის განხორციელება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მთელი ჯგუფისთვის (მაგ. ვირტუალური სამუშაო საათების განმავლობაში). უკუკავშირი ასევე შეიძლება განხორციელებულ იქნას აუდიო/ვიდეო საშუალებებით (ონლაინ გარემოს თავისებურებების სრული გამოყენებისთვის) და ხშირად უფრო ადვილია სტუდენტების მიერ „ასათვისებლად“. თავის მხრივ, სტუდენტები ასევე უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი რეკომენდაციების მიცემას, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს გააუმჯობესონ სასწავლო გარემო კურსის სამომავლო გამეორებისთვის.
- ▶ *კურსის ხელახალი შედგენა/განახლება*: ზემოაღნიშნული სავარჯიშოების შედეგი შეიძლება კონსტრუქციულად იქნას გამოყენებული მომავალში კურსის კორექტირების პროცესისა და სტუდენტებისთვის უკეთესო სასწავლო გამოცდილების შეთავაზებისთვის.


პოტენციური სირთულეები

ელექტრონული სწავლების განხორციელება ხშირად დამოკიდებულია განათლების სისტემაში მის აღიარებასა და სტატუსზე. მაშინ, როცა ზოგ სისტემაში ის ოფიციალურადაა აღიარებული როგორც პირისპირ კურსებთან ერთ დონეზე არსებული ინფორმაციის გადაცემის ერთ-ერთი მეთოდი, , სხვა სისტემებში ონლაინ კურსები განიხილება, როგორც უბრალოდ სასწავლო გეგმის დამატება, ცალკე მდგომი, სტატუსის გარეშე. გარდა ამისა, განურჩევლად კონტექსტისა, უნივერსიტეტები ხშირად არ აღიარებენ იმ ფაქტს, რომ კურსების შედგენა და ონლაინ რეჟიმში ჩატარება სათანადო განხორციელების შემთხვევაში მოითხოვს მეტ დროს, ძალისხმევასა და პედაგოგიურ უნარ-ჩვევებს, ვიდრე ტრადიციული კურსების შეთავაზება. ამის შედეგად, ტექნოლოგიის გამოყენება მრავალ შემთხვევაში ინიცირებულია რამდენიმე პედაგოგის მიერ, რომელიც იღებს სუბსიდიებს ახალი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოსაცდელად. რაც არ უნდა საჩქარო იყოს ეს, ელექტრონული სწავლების დანერგვის გადრმავება, გარკვეული ფორმის წახალისება უზრუნველყოფილი უნდა იქნას უნივერსიტეტების მიერ; ამან შეიძლება მიიღოს ფულადი ანაზღაურების სახე, რაც პედაგოგის რეგულარულ პორტფელში ელექტრონული სწავლების ამოცანების აღიარებისა და ჩართვის უფრო სიმბოლური ფორმაა, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ჩაითვალოს „კლასგარეშე აქტივობებად“.


კიდევ ერთი სირთულე მჭიდროდაა დაკავშირებული ელექტრონული სწავლების ტექნიკურ ასპექტებთან. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, *საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა და ტრენინგი* არსებითი მნიშვნელობისაა ონლაინ კურსების შეუფერხებელი ჩატარებისთვის. ეს არის ინვესტიცია, რომლის განხორციელებაც უნდა სურდეთ თავად უნივერსიტეტებს.

ბოლო და არანაკლებ მნიშვნელოვანი ისაა, რომ სწავლება ტექნოლოგიის გამოყენებით არ უნდა ახდენდეს იზოლირებას, მაგრამ ხშირად ეს შეიძლება მაინც მოხდეს და ამგვარად პროცესისადმი სურვილი დაუკარგოს პოტენციურ სტუდენტებსა და მასწავლებლებს. თუ ტექნოლოგია გამოიყენება ადამიანთა ურთიერთქმედების გასაძლიერებლად და არა ჩასანაცვლებლად, და თუ მასწავლებლებს შეუძლიათ საკმარისი დრო დაუთმონ ტექნოლოგიის ინტეგრაციისთვის ყველაზე შესაფერისი პედაგოგიური მეთოდების მოძიებას, მაშინ სწავლის გამოცდილება უნდა იყოს როგორც მინიმუმ ისეთივე წარმატებული, როგორც პირისპირ სწავლის გარემოში. მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიარო, რომ ელექტრონული სწავლების განხორციელება ხშირად დაკავშირებულია *სწრაფ სწავლებასთან* და საჭიროებს *მენტალიტეტის შეცვლას სტუდენტებისა და მასწავლებლის როლთან დაკავშირებით*.


რჩევები



პედაგოგიკა ტექნოლოგიაზე წინ. არასოდეს დააყენოთ ტექნოლოგია სასწავლო მიზნებზე წინ!



მოახდინეთ მკაფიო კომუნიკაცია და გაამართლეთ სტუდენტების იმედები: ეს გაადვილებს თქვენს სამუშაოს კურსის მიმდინარეობისას და დაგეხმარებათ თქვენ და სტუდენტებს ფიზიკური მანძილის გადალახვაში.



შეიმუშავეთ თქვენი კურსი ვირტუალური გარემოსთვის: თქვენი ტრადიციული კურსის უბრალოდ ონლაინ განთავსება სავარაუდოდ არ მოგიტანთ მოსალოდნელ შედეგებს.



ჩაატარეთ ექსპერიმენტები! ვირტუალურ გარემოში შესაძლებელია მრავალფეროვანი აქტივობებისა და დავალებების შესრულება; გამოსცადეთ ისინი და ნახეთ, თუ რომელი მათგანია საუკეთესო თქვენი სასწავლო მიზნების გათვალისწინებით.

შერეული სწავლება



მეთოდის აღწერილობა

შერეული სწავლება წარმოადგენს ჰიბრიდული სწავლების მიდგომას, რომელიც აერთიანებს პირისპირ სწავლებას, ან ტრადიციული საკლასო მეცადინეობების და ისეთი ონლაინ სწავლების ელემენტებს, როგორცაა ასინქრონული (ონლაინ სადისკუსიო ფორუმები, წერილები, ბლოგები, ვიკი) ან სინქრონული სწავლება (მყისიერი ჩეთები, ვიდეო-კონფერენცია, ვებინარები). შერეული სწავლება განიხილება, როგორც თანამედროვე პედაგოგიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მეთოდი, რადგან ის ტრადიციული და ინოვაციური სწავლების მეთოდების შერევის საშუალებას იძლევა, მოქნილია და აკმაყოფილებს დროსა და სივრცისადმი მოწაფეების მზარდ საჭიროებას. თუმცა, სანამ დაიწყებენ შერეული სწავლებას, ინსტრუქტორებისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა არის ის, რომ მათ ყურადღებით უნდა შეისწავლონ სხვადასხვა პოტენციური პირისპირ და ელექტრონული სწავლების მიდგომები თუ ინსტრუმენტები, და შექმნან ინტერაქციის შემოქმედებითი გზა, რათა სასწავლო პროცესში გაზარდონ წარმატებები. არ არსებობს ასპროცენტური გარანტიის მომცემი ფორმულა შერეული

სწავლებისთვის, და ამრიგად, მასწავლებლის როლი მდგომარეობს სიტუაციას მისადაგებელი ისეთი კურსის შექმნაში, რომელიც შეესაბამება კურსის მიზნებს, ასევე მოსწავლეების საჭიროებებსა და მოლოდინებს, და უზრუნველყოფს თანმიმდევრულ სწავლებას.

სასწავლო მიზნები

შერეული სწავლების მიდგომის გამოყენების გათვალისწინებისას, არსებობს რამდენიმე ძირითადი უპირატესობა და გამოწვევა, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული.


შერეული სწავლების უპირატესობები

- ▶ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემის ეფექტური შესაძლებლობები, რომელიც აერთიანებს ფორმალურ სწავლებას (მაგ ცოდნის გადაცემა) და არაფორმალურ სწავლებას, ან სწავლებას კეთების პროცესში.
- ▶ სხვადასხვა ღირებული უნარ-ჩვევების შერევა და გადაცემა (პრობლემის გადაჭრა, ორგანიზაციული და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები, ციფრული უნარ-ჩვევები, ენობრივი შესაძლებლობები).
- ▶ სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ▶ მოქნილობა დროში (როდის უნდა ვისწავლოთ) და სივრცეში (მოსწავლეების და ინსტრუქტორების გეოგრაფიული მდებარეობა).
- ▶ ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება (აკადემიური ექსპერტების და პრაქტიკოსების, მოსწავლეების ხარჯები).
- ▶ შიდა საუნივერსიტეტო თანამშრომლობის და კულტურათაშორისი უნარ-ჩვევების ხელშეწყობა.

შერეული სწავლების გამოწვევები

- ▶ სწორი ნაზავის მიღება: კურსის დიზაინის შემუშავებისა და განხორციელების სიტუაციას მისადაგებელი მიდგომა.
- ▶ სწავლისა და სწავლების პროცესში სრულყოფილი ბალანსის დადგენა "ადამიანურ ფაქტორებს", ინსტრუქტორისა და მოსწავლეთა დასწრებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს შორის

- ▶ საჭიროებების შეფასება და მეთოდოლოგიის ინკორპორირება იმის მიხედვით, თუ ვინ წარმოადგენს აუდიტორიას: სტუდენტები, პროფესიონალები, განათლებაში ჩართული პირები და ა.შ.
- ▶ კურსის დიზაინსა და კოორდინაციაში ინსტრუქტორის უფრო მეტი დრო და მოქნილობა
- ▶ ტექნიკამ შეიძლება არასწორად იმუშაოს, მზადყოფნა დროული რეაგირებისა და ალტერნატივებისთვის
- ▶ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ტრენინგი ელექტრონული სწავლების უნარ-ჩვევებში
- ▶ პოტენციურად ძვირადღირებული მულტიმედიური სისტემა, რომელიც მოითხოვს განახლებას



ადამიანი

- მოტივაცია
- პერსონალიზაცია
- რეკომენდაციის მიცემა
- ენის სრულყოფილი ცოდნა და მოსმენა
- რელევანტურობა
- დისციპლინა

ტექნოლოგია

- მობილურობა
- სტრუქტურა
- თრეინინგი და კონტრილი
- თვით-დასწავლა
- შემცირებული ხარჯები
- გლობალური წვდომა

წყარო: http://www.globalenglish.com/why_PEBS/blended_learning

ამდენად, შერეულ სწავლებას შეუძლია ხელი შეუწყოს:

- ▶ თეორიულ ცოდნას მისადაგებული პრაქტიკული ცოდნის გადასაცემად სთავაზობს უფრო კარგ შესაძლებლობებს სხვადასხვა ონლაინ რესურსებისა და

ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტების, ისევე, როგორც ფორმალური და არაფორმალური განათლების პროცესების ინკორპორირების გზით.

- ▶ *უნარ-ჩვევების გადაცემის* შერეული სასწავლო კურსის დიზაინი საშუალებას იძლევა სხვადასხვა უნარების მიწოდების მეტი მოქნილობისათვის, როგორცაა პრობლემის გადაჭრა, ორგანიზაციული და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები, ციფრული უნარ-ჩვევები, ენობრივი და წერის უნარები და ა.შ.
- ▶ *განათლების თანამედროვე სისტემებისა და მოსწავლეთა ისეთ თანამედროვე მოთხოვნებზე პასუხი*, როგორცაა სასწავლო პროცესზე წვდომისათვის მოქნილობა დროსა და სივრცეში, რომელიც მოიცავს სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს და თვით-სწავლების ხელშეწყობას, ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებას და ა.შ.
- ▶ *მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ხელშეწყობა*, სწავლების შესაძლებლობების ფართო აუდიტორიის, მათ შორის, პროფესიონალებისათვის გასახსნელად.

მასწავლებლის როლი

განმანათლებელი როდესაც გადადის შერეულ სწავლებაზე ის შეიძლება შეფასდეს როგორც *სუპერ-ინსტრუქტორი*, რომლის აკადემიური ექსპერტიზა უნდა მოიცავდეს ტექნიკური უნარების გამოყენებით ელექტრონული სწავლების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, მოქნილობის და მოტივაციის სფეროებს.

მასწავლებელი არის შერეული სწავლების არქიტექტორი და დიზაინერი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა როლებს კურსის დიზაინის და იმპლემენტაციის დროს.

აქ არის მასწავლებლის როლის რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი:

მასწავლებლის როლი შერეულ სწავლებაში

- ▶ შერეული სწავლების ძირითადი ელემენტების ან შერეული პედაგოგიური მიდგომის "ხერხემლის" განსაზღვრა და სხვადასხვა პირისპირ და ონლაინ სწავლების თავსებადობის გადაწყვეტა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კურსის მიზნების წარმატებით მიღწევა;
- ▶ მოსწავლეთა საჭიროებების შეფასება და კურსის არასტანდარტული დიზაინის გაგრძელება, რათა შესაძლებლობების ფარგლებში კურსი მიმართული იქნეს ბევრ ტიპიურ მოსწავლეთა პროფილებისადმი (*personas*), და გათვალისწინებული იქნეს შერეული სწავლების კურსის სწავლების შესაძლებლობები თუ შეზღუდვები, კონკრეტული ორგანიზაციული გარემოს ფარგლებში;
- ▶ პროფესორთა უწყვეტი პროფესიული განვითარების უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე ეს ტრადიციული პედაგოგიკის გამოყენების შემთხვევაში მოხდებოდა, რადგან თანამედროვე მასწავლებლის

როლი იცვლება ინტერნეტ-ტექნოლოგიების გაძლიერებული გამოყენებით.

- ▶ ხშირად მოითხოვს ინტერნეტ-ტექნოლოგიების პერსონალის ტრენინგს და პრაქტიკის გაცვლას სხვა ინსტრუქტორებთან, ისეთ საკითხებზე, როგორცაა ტექნოლოგიურად გაუმჯობესებული კურსების შექმნა და იმპლემენტაცია.
- ▶ მუდმივად საქმის კეთების პროცესში და გზა-და-გზა სწავლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება ელექტრონულ სასწავლო გარემოში ჩართვა, რასაც ხშირად აკლია ონლაინ ან შერეული სწავლების ფორმატში პირადი გამოცდილება, ან ხდება პირველად შეხვედრა ახალ გამოწვევებთან (მაგ.: ტექნოლოგიური პრობლემები), რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას კურსის იმპლემენტაციის დროს.

მანამდე: მომზადება, ამოცანის დიზაინი, სტუდენტების მომზადება

წარმატებული შერეული სწავლების მოდელს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, თუმცა მისი წარმატების გაზრდის მიზნით თემაზე არსებულ ლიტერატურაში ხაზგასმულია რამდენიმე რჩევა კურსის დიზაინთან დაკავშირებით (იხილეთ მაგალითი მარტინ (2003), ტიმუშ (2014)). პირველ რიგში, სასურველია ჩატარდეს პირისპირ გაცნობითი და საბოლოო შეფასებითი შეხვედრები. ეს შეხვედრები საჭიროა, რათა მოსწავლეებს მიეცეთ მეტი სივრცე და აეხსნათ შერეული სასწავლო კურსის სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ონლაინ კურსის მასალების საბაზისო ტრენინგის არსს, ასევე გაზრდიან ჯგუფის ჰომოგენურად ჩამოყალიბებს შანსებს და მათ შესთავაზებენ ე.წ. "ადამიანურ ფაქტორს".

მას შემდეგ, რაც ამოცანები ნათლად იქნება ჩამოყალიბებული, მიზანშეწონილია დაცული იქნეს ბალანსი პირისპირ სწავლებას, ონლაინ ამოცანებსა და დავალებას შორის. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პირისპირ ლექცია ჩვეულებრივ 2 საათს გრძელდება და გათვალისწინებულია ვიდეო ლექციების გამოყენება, მიზანშეწონილია, რომ შემცირდეს ლექტორის ვიდეოჩანაწერის სიგრძე (მაგ.: ერთი ან ორი ვიდეო 20 წთ. ხანგრძლივობით, რამდენიმე მთავარ თემაზე). ეს უზრუნველყოფს ცოდნის უფრო ეფექტურ გადაცემას და ინსტრუქტორმა შესაძლოა წახალისოს თანამდევი შემდგომი დონის დისკუსია, რაც ვიდეო ლექციას ეფუძნება. ეს შეიძლება გაკეთდეს ისეთი ასინქრონული ხელსაწყოების მეშვეობით, როგორცაა ფორუმი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაგზავნონ შეკითხვები ლექტორთან და მოგვიანებით მიიღონ წერილობითი პასუხი ლექტორებისგან, ან ფორუმში კითხვების განთავსების და ფორუმის კითხვებზე ლექტორის პასუხების პირდაპირი ვიდეო კონფერენციის კომბინაციის მეშვეობით (*იხილეთ დანართი, სადაც მოცემულია ვიდეო-ლექციის დიზაინის მაგალითები*).

რაც შეეხება შერეული სწავლების სემინარების და გაკვეთილების დიზაინს, ეფექტური სტრატეგია იქნება, თუ შეძლებისდაგვარად, სახელმძღვანელოს ერთი ნაწილის როგორც პირისპირ შეხვედრის ან ისეთი ასინქრონული ინსტრუმენტების გამოყენებით უზრუნველყოფა, როგორცაა ვიდეო კონფერენციის პროგრამები (სკაიპი, ვებ-კონფერენციების პროგრამები, როგორცაა Adobe Connect™, და ა.შ.), ხოლო მეორე ნაწილისა კი ასინქრონული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორცაა სადისკუსიო ფორუმები, ვიკი, ბლოგები და ა.შ., რაც ხელს უწყობს ზოგადი ცოდნის შექმნას. (*დანართში თქვენ ნახავთ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების კონკრეტულ მაგალითს*).

ონლაინ და შერეული ლექციებისა თუ გაკვეთილების გამოყენება განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს იმ შემთხვევებში, როდესაც უნივერსიტეტს აქვს ინფრასტრუქტურული შეზღუდვები (საკლასო ოთახების ზომა და რაოდენობა), რაც საშუალებას იძლევა ლექციების უფრო მოქნილად დაგეგმვისთვის უფრო დიდი მოცულობის მოსწავლეებში, ისევე როგორც შესაძლებელი მასწავლებლების და მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება.

ფრთხილად უნდა იქნეს განხილული ის დრო და რესურსები, რომლებიც

ხელმისაწვდომია ონლაინ ან კომბინირებული პირისპირ - ონლაინ სესიისათვის და საჭიროა კურსის დიზაინის დროს. ინსტრუქტორმა უნდა ჩაატაროს მოსწავლეთა აუდიტორიის საჭიროებების ანალიზი ისეთ საკითხებზე, როგორცაა მათი ხელმისაწვდომობა და კურსის წვდომაზე მოქნილობა, მათი წინარე ცოდნის დონე, სამიზნე უნარები, რომლებიც სარგებელს მოუტანს მოსწავლეებს (თვით-დასწავლა, ერთობლივი სწავლება, წერის უნარები და ა.შ.). უფრო მეტიც, ინსტრუქტორი, სავარაუდოდ, შეაფასებს კონკრეტულ შესაძლებლობებს და შეზღუდვებს, როგორცაა მაგალითად, ტექნიკური მხარდაჭერის და ტექნიკის ხელმისაწვდომობა, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობით IT ტრენინგის ორგანიზება, კლასის ზომა, ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ა.შ.

კურსის დიზაინის დროს ინსტრუქტორებისათვის სასარგებლო რჩევა იქნება, რომ ყოველთვის დაიტოვონ დამატებითი დრო და იყვნენ მოქნილები ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტების გამოყენებისას, რამდენადაც ტექნიკას შეიძლება ხარვეზები წარმოექმნას და შეიძლება საჭირო გახდეს დროული ჩარევები ინსტრუქტორების მხრიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პრობლემის სწრაფი გადაწყვეტა, ან სულაც შეიცვალოს კურსის სტრატეგია.

- ▶ დაგეგმეთ პირისპირ გაცნობითი და საბოლოო შეფასებითი შეხვედრა და აგრეთვე შემომავალ მოსწავლეთა გამოკითხვა, მათი მოლოდინების და საჭიროებების შესახებ
- ▶ დააბალანსეთ კურსის ელემენტები პირისპირ და ონლაინ ამოცანებსა თუ დავალებას შორის
- ▶ სემინარები/გაკვეთილები: შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით, რომ გაკვეთილების ნაწილი შეხვედრის სახით ჩაატაროთ ან გამოიყენოთ სინქრონული ინსტრუმენტები (ვებინარები, ვიდეო კონფერენციები და ა.შ.)
- ▶ ონლაინ და შერეული ლექციებისა თუ გაკვეთილების გამოყენება წარმოადგენს უპირატესობას იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული შეზღუდვა (საკლასო ოთახების ზომა/ხელმისაწვდომობა)
- ▶ ყურადღებით განიხილეთ დრო და რესურსები, ასევე პოტენციური შეზღუდვები
- ▶ ყოველთვის დატოვეთ გარკვეული დამატებითი დრო და იყავით მოქნილები, როდესაც გამოიყენებთ ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტებს იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ტექნოლოგიური ხარვეზების წარმოშობა.

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსები:



- იხილეთ დანართი 1, როგორც შერეული სასწავლო საქმიანობის მაგალითი იმ კურსის დიზაინისთვის, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას შერეული სწავლების ტრენინგის ან შერეული სწავლების კურსის შესაქმნელად.
- ონლაინ და პირისპირ სწავლების კომპონენტების შერევა, <http://www.teachertoolbox.ac.nz/tool/view/category/4>
- თ. ბოილი (2005). შერეული სწავლების განვითარების დინამიური, სისტემური მეთოდი. განათლება, კომუნიკაცია და ინფორმაცია, სპეციალური გამოცემა შერეული სწავლების შესახებ 5 (3), 221--232.
- ნ. თიმუში (2013). "დისტანციური სწავლება, როგორც სწავლების ინოვაციური მეთოდი". In S. Baroncelli, R. Farneti, I. Horga, S. Vanhoonacker (eds.) *ევროკავშირის სწავლა და სწავლება. ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები. სპრინგერ ფერლაგი გვ. 430--44.*
- ნ. თიმუში (2015). გამოწვევიდან უპირატესობამდე: კურიკულუმების ინოვაცია გეოგრაფიული მასშტაბით. ა. დეილი - ჰებერტი და კ.ს. დენისი (eds.) *ტრანსფორმაციული პერსპექტივები და პროცესები უმაღლეს განათლებაში. სპრინგერი, შვეიცარია.*

პროცესის დროს: მეთოდის ფაქტობრივი გამოყენება

როგორც ზემოთ, წინა სექციებში აღინიშნა, შერეული სწავლების მეთოდი ცოდნისა და უნარების გადაცემის უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, ისევე როგორც სასწავლო პროცესის წვდომის (დროსა და სივრცეში) უფრო მაღალი ხარისხის მოქნილობის საშუალებას გვაძლევს; თუმცა, მას ასევე გააჩნია თავისი ხარჯებიც.

ინსტრუქტორები, რომლებიც ჩართულნი არიან შერეულ და ონლაინ სწავლებაში, როგორც წესი, უფრო მეტ დროს ხარჯავენ კურსის მომზადებასა და იმპლემენტაციაზე (იხ. მიჰაი 2013), და ასევე საჭიროა, რომ იყვნენ მოქნილები მთელი კურსის განმავლობაში სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ელექტრონული სწავლების გარემოს გამოყენებისას. აღნიშნულის გამო მიზანშეწონილია, რომ ინსტრუქტორებს ჰყავდეს იმ აკადემიური კოლეგების "მხარდამჭერი გუნდი", რომელთაც აქვთ გამოცდილება შერეული სწავლების გამოყენებაში, ასევე IT პერსონალი, რომელთანაც ინსტრუქტორს შეეძლება თანამშრომლობა და პრაქტიკული დახმარების მიღება კურსის დიზაინისა თუ იმპლემენტაციის პროცესში.

სწავლების ინოვაციური მეთოდები და ინსტრუმენტების გამოყენება მოითხოვს შესაფერისი ინსტრუქტორის ხელმძღვანელობას კურსის შინაარსთან, პედაგოგიური სტრატეგიასთან, ისევე როგორც გამოყენებული კონკრეტული ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. მაგალითად, ინსტრუქტორმა შეიძლება გამოიყენოს ელექტრონული სწავლების გარემო, რათა დაპოსტოს სხვადასხვა კურსის შინაარსი. თუმცა გამოწვევა არის ის, რომ ხელმისაწვდომი კურსის შესახებ საკმარისი ინსტრუქტაჟი უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს, რათა ხელი შეუწყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ინსტრუქტორსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობისთვის საკმარისი არხების გახსნას, ასევე მოსწავლეებს შორის ინტერაქციასა და კავშირს. მნიშვნელოვანია, რომ კურსის ვებ-გვერდის დიზაინი იყოს მარტივი, ხოლო ტექსტის შინაარსსა და ვიზუალურ მონაცემებს შორის არსებობდეს ბალანსი.

სტუდენტური მოტივაცია და ჩართულობა წარმოადგენს სასწავლო პროცესის წარმატების უზრუნველყოფის ძირითად ფაქტორს, მათ შორის შერეული სწავლების შემთხვევაშიც. როდესაც ხდება ონლაინ სწავლების გამოყენება, გამოწვევა რომ მოსწავლეები დარჩნენ მოტივირებული და ჩართული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირისპირ სწავლების დროს, რადგანაც "მანძილის" განცდა ინსტრუქტორსა და მოსწავლეებს შორის წარმოადგენს დაბრკოლებას ინტერაქციისთვის და შეიძლება გამოიწვიოს „იზოლაციის გრძობა“, ასევე სტუდენტური წარუმატებლობის ან კურსის მიტოვების უფრო მაღალი ალბათობა.

შერეული სწავლების უპირატესობა ის არის, რომ პირისპირ და ონლაინ აქტივობების და დავალებების კარგად შემუშავებული ნარევი, შეიძლება იყოს იმ ადამიანური ფაქტორის ნაკლებობისა და იზოლაციის საერთო პრობლემის საპირწონე, რაც იქმნება სრულად ონლაინ სწავლების დროს. მაგალითად, თუ შერეული კურსი მოიცავს ჯგუფური კვლევის დავალებას, ინსტრუქტორმა შეიძლება აირჩიოს, რომ ჩაატაროს პირისპირ შეხვედრა ჯგუფური მუშაობის დასაწყისში, რათა მოსწავლეები გაეცნონ ერთმანეთს და

მოხდეს ჯგუფის შეკავშირება, ასევე ე.წ. „ბრენსტორმინგი“. ამას შეიძლება მოჰყვეს ჯგუფური ონლაინ მუშაობა, რომელიც აერთიანებს თვით-სწავლებას, ასევე სამეცნიერო-კვლევით თუ ერთობლივი სწავლების პერიოდს, როდესაც ჯგუფმა შესაძლოა ერთობლივად იმუშაოს კვლევაზე და, თუ სურვილი იქნება, ასევე პრეზენტაციაზეც. პრეზენტაცია შეიძლება განხორციელდეს პირისპირ შეხვედრის ფორმატში, ფინალური შეხვედრის დროს, ან ვებ-საკონფერენციო პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, როცა სახეზეა მოსწავლეთა და ინსტრუქტორების ფიზიკური ყოფნა.

ინსტრუქტორის ხელმისაწვდომობა და მხარდაჭერა (პირისპირ და ონლაინ) წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს წარმატებული ინტერაქციის უზრუნველსაყოფად, რადგან ამ დროს ხდება სწრაფი უკუკავშირი და გარანტირებულია მოსწავლეების სწორი მიმართულებით განვითარება. თუკი ონლაინ სწავლების დროს უკუკავშირი არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი, სტუდენტები გრძნობენ იმედგაცრუებას და ხდებიან იზოლირებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური სწავლებისას ხდება ინსტრუქტორის როლში ცვლილება, რათა მას უფრო მეტად ჰქონდეს მწვრთნელის როლი, თუმცა ამის მიუხედავად, ინსტრუქტორმა ასევე უნდა მოირგოს მხარდაჭერის როლიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტუდენტები ჩაერთვებიან ონლაინ სწავლებაში, რათა დაეხმაროს მათ მოტივაციის გაზრდაში. ეს შეიძლება გაკეთდეს, მაგალითად, მხარდაჭერი კომენტარის განთავსებით, პირადად გამოცდილების გაზიარებით, პირადი მწვრთნელობის გზით. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, იყოს სამუშაო საათების გრაფიკი, კერძოდ პირისპირ შეხვედრის ან „ვირტუალური სამუშაო საათები“, თუნდაც სკაიპის მეშვეობით, ან ისეთი ასინქრონული მეთოდების გამოყენებით, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, ფორუმი, რათა უზრუნველყოფილი იქნას ონლაინ კავშირი. სტუდენტების "დუმის" პერიოდები შეიძლება იყოს ნიშანი სასწავლო პროცესში სხვადასხვა სახის პრობლემების შექმნისა. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სტუდენტებთან დაკავშირება, რათა გაგებულ იქნას მათი პირადი სიტუაცია თუ პოტენციური პრობლემები, და მოხდეს მათი უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

- ▶ წინასწარ გქონდეთ იმის მოლოდინი, რომ უფრო მეტი დრო დაიხარჯება, ვიდრე ტრადიციული პირისპირ სწავლების კურსის იმპლემენტაციისას;
- ▶ გყავდეთ აკადემიური კოლეგების "მხარდაჭერი გუნდი", რომელთაც ექნებათ გამოცდილება შერეული სწავლების გამოყენებისა; ასევე, IT პერსონალი რომლებიც გაგიწევენ პრაქტიკულ დახმარებას;
- ▶ გქონდეთ გამარტივებისკენ მიმართული მიდგომა კურსის ვებ-გვერდის დიზაინთან და მათზე განთავსებული ინფორმაციის რაოდენობასთან დაკავშირებით; დაიცავით ბალანსი ტექსტის შინაარსის, ვიზუალურ მონაცემებსა და რესურსებს შორის; ასევე უზრუნველყავით სრულყოფილი ტრენინგი კურსის სხვადასხვა კომპონენტების შესახებ;
- ▶ კარგად შემუშავებულმა პირისპირ და ონლაინ აქტივობებმა თუ დავალებების ნაზავმა შეიძლება გააწონასწოროს „ადამიანური ფაქტორის“ ნაკლებობის და იზოლაციისგან გამოწვეული საერთო პრობლემები, რასაც ადგილი აქვს მთლიანად ონლაინ სწავლების დროს და შესაბამისად გაზარდოს სტუდენტის მოტივაცია და ჩართულობა;

- ▶ ინსტრუქტორის ხელმისაწვდომობა და მხარდაჭერა (პირისპირ და ონლაინ) არის გადამწყვეტი ფაქტორი წარმატებული ინტერაქციის, სწრაფი უკუკავშირისა და მოსწავლეთა სწორი მიმართულების უზრუნველსაყოფად.

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსები:



- ვიდეო: “სტუდენტების ჩართულობა და დახმარება ონლაინ ინტერაქციაში”: https://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=TxzipYOGaoE

შეფასება/ანგარიში

უკუკავშირი და შეფასება წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის წარმატებას. უკუკავშირის სწორი ტიპის განსაზღვრა და მისი მიწოდება შესაფერის მომენტში, საშუალებას აძლევს ინსტრუქტორს და მოსწავლეებს, შეამოწმონ თუ რამდენადაა მიღწეული სწავლების შედეგები, მოახდინონ პოტენციური გამოწვევების იდენტიფიცირება და მოძებნონ ადეკვატური გადაწყვეტილებები.

ორივე, ფორმატული შეფასება (უწყვეტი კავშირი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტებს სწავლებაში) და **შემაჯამებელი რეკომენდაციები** ან კურსის საბოლოო შეფასება, შერჩეული უნდა იქნეს ორ ძირითად კითხვასთან მიმართებაში: 1. რისი შეფასება გვჭირდება ჩვენ (ცოდნა, უნარ-ჩვევები, შესრულება) და 2. როგორ უნდა შევაფასოთ (ინსტრუმენტები)?

იმ დროს, როდესაც შერეული სწავლება გთავაზობთ სხვადასხვა ცოდნის და უნარების გადაცემის უფრო მაღალ შესაძლებლობებს, გამოწვევა მდგომარეობს ინსტრუქტორისადმი სწრაფი და ნათელი უკუკავშირისა თუ სახელმძღვანელოს შეთავაზებაში, ასევე სტუდენტებისთვის უწყვეტ რეჟიმში რეკომენდაციების მიცემაში, რისი ნაკლებობაც იწვევს მოსწავლეთა მიერ იზოლაციის შეგრძნებას და იმედგაცრუებას (ჰარა და კლინგი (2001)).

ფორმატული შეფასება საშუალებას აძლევს ინსტრუქტორს და კოლეგებს, მიჰყვნენ სტუდენტურ აზროვნებას. ეს არის შერეული სწავლების უმნიშვნელოვანესი ელემენტი იმის გათვალისწინებით, რომ გამოწვევა მდგომარეობს სივრცით მანძილში. ეფექტური სტრატეგია უნდა შეიცავდეს უკუკავშირის მექანიზმებს თითოეული სემინარის/კონსულტაციის ბოლოს. მაგალითად, პირისპირ შეხვედრის ან ვებინარის ბოლო ხუთი წუთი დაეთმოს სესიის ჯგუფურ შეფასებას და მისი გაუმჯობესების გზების თაობაზე წინადადებების წარდგენას. ასინქრონული ონლაინ სემინარის შემთხვევაში, ალტერნატივა მდგომარეობს ფორუმზე თემის გახსნაში, სადაც თითოეული სემინარის შემდეგ ან კონკრეტული აქტივობების ბოლოს, სტუდენტები და ინსტრუქტორები შეძლებენ ასახონ მათი სასწავლო გამოცდილება.

თვითკრიტიკა და საექსპერტო მიმოხილვა წარმოადგენს ფასეულ მექანიზმს, რათა ხელი შეეწყოს კრიტიკულ აზროვნებას და თვითშეფასებას. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ზეპირი ფორმით (განხილვა), ასევე წერილობითი ფორმითაც პირისპირ და ონლაინ გარემოში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის. მაგალითად, ონლაინ ჯგუფური მუშაობა შეიძლება ფორმალურად შეფასდეს ინსტრუქტორის მიერ საბოლოო ჯგუფური პრეზენტაციის საფუძველზე. მაგრამ, ის ასევე შეიძლება შევსებული იქნეს ისეთი საექსპერტო განხილვის ფორმირების უკუკავშირით, როგორც კომენტარების გაცვლა პირველად პროექტზე ან სამუშაოს პროგრესზე ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტების გამოყენებით (ფორუმი, ვიკი, ბლოგები) ან/და თვითკრიტიკული ანგარიშებით, რომელიც საშუალებას აძლევს ინსტრუქტორს ჯგუფური მუშაობის პროცესში შეაფასოს ინდივიდუალური კონტრიბუციები და სასწავლო გზები.

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსები:



იხილეთ აღნიშნული შემდგომი მაგალითებისთვის:

- დანართი 2
- დანართი 3
- დანართი 4

შემდგომ: უკუკავშირი და შეფასება

- შესთავაზეთ სწრაფი და ნათელი უკუკავშირი, ასევე ინსტრუქტორის მითითებები. ასევე უზრუნველყავით სტუდენტებს შორის საკმარისი ინტერაქცია და უკუკავშირი. მათმა ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლეთა მხრიდან იზოლაციის შეგრძნება და ფრუსტრაცია;
- შერეული სწავლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია ფორმატული შეფასება, რომელიც საშუალებას მისცემს ინსტრუქტორს და კოლეგებს მიჰყვნენ სტუდენტურ აზროვნებას, რომელიც მიზნად ისახავს რეკომენდაციის გაწევას თითოეული კურსის ბოლოს;
- თვითკრიტიკული მოსაზრებები და საექსპერტო მიმოხილვა წარმოადგენენ ფასეულ მექანიზმებს, რათა ხელი შეუწყოს კრიტიკულ აზროვნებას და თვითშეფასებას. ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ზეპირი განხილვის, ასევე წერილობითი ფორმით სხვადასხვა აქტივობების დროს, პირისპირ და ონლაინ გარემოში.

ინსტრუმენტები და ტექნოლოგიები, რომლებმაც შეიძლება გააძლიეროს ...			
	... შეფასება განვითარებისთვის	... უკუკავშირის გაცემის/მიღების პროცესი	... მიღწევის შეფასება
ინსტრუმენტები	<p>ელექტრონული პორტფოლიოები</p> <p>ქვიზები (მაგ. Moodle, HotPotatoes)</p> <p>ქვიზები სტუდენტების მობილური მოწყობილობების მეშვეობით</p> <p>Socrative, PollEverywhere, Kahoot</p> <p>სტუდენტები ქმნიან თავიანთ შეკითხვებს თანატოლებისთვის</p> <p>აუდიო ჩაწერა, მაგალითად, Kaizena</p> <p>საშუალებას გაძლევთ ჩაურთოთ აუდიო ინდივიდუალურ მომხმარებლების კომენტარები Google docs-ისთვის</p>	<p>ფორუმების სკრინქასთინგი (მაგალითად, Jing)</p> <p>აუდიო ჩანაწერი</p> <p>Turnitin (ხარისხის ნიშანი)</p> <p>იხილეთ Unitec-ის Turnitin Moodle კურსი, რათა დავიწყოთ (MyPortfolio)</p> <p>_____</p> <p>_____</p>	<p>MyPortfolio</p> <p>პროდუქტიული ხელსაწყოები, მაგალითად ვიდეო, ფაურფონთი, პოსტერები</p> <p>უსაფრთხო საგამოცდო ბრაუზერი</p> <p>iPad-ის აპლიკაციების მაგალითები, რომლებსაც აქვთ შეფასებების მხარდაჭერის პროცესის უზრუნველყოფა--</p> <p>სპორტული განყოფილება NorthTec-ში, Whangarei</p>

Source: <http://moodle.unitec.ac.nz/mod/page/view.php?id=229879>

სასარგებლო ინსტრუმენტების რესურსები:



- ონლაინ შეფასება: <http://www.cshe.unimelb.edu.au/assessinglearning/03/online.html#consider>
 - ბ. ლაესკ, (1999). 'ონლაინ მიწოდების საკითხები: ტესტები და დისკუსიის ჯგუფები, სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი.
www.unisanet.unisa.edu.au/flc/pdonline/ Discussions_and_quizzes_materials.doc წვდომა
 - განხორციელდა 10/12/01
 - ს. მორგან, და მ. ორაილი, (1999). ღია და
 - დისტანციური სწავლების შეფასება. Kogan Page, London.
სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი,
 - (2001). www.unisanet.unisa.edu.au/flc/pdonline/ IssuesinOnlineAssessment.doc. წვდომა განხორციელდა 10/12/01
- რ. ოკერი და გ. ჯ. იავერბაუმი (2002).
კოლაბორაციული სასწავლო გარემოები:
სტუდენტების მოსაზრებებისა და საჭიროებების
დაკმაყოფილებების კვლევა პირისპირ და
ასინქრონული კომპიუტერული კონფერენციების
მოწყობისას. ინტერაქტიური სწავლების კვლევის
ჟურნალი, 12(4), 427---448.

რჩევები შერეული სწავლების გამოყენებისას

რჩევა 1: სასწავლო მიზნების შესაბამისად განსაზღვრეთ თქვენი საკუთარი რეცეპტი, შერეული სწავლების მიდგომის გამოსაყენებლად.

რჩევა 2: ჩაატარეთ თქვენი მოსწავლეების აუდიტორიის საჭიროებების ანალიზი, მაგალითად, რეგისტრირებულ მოსწავლეთა გამოკითხვა მათ მიერ საგნის წარსულ ცოდნასთან, მათ ხელმისაწვდომობასთან (დროსა და სივრცეში), მათ მოლოდინთან დაკავშირებით.

რჩევა 3: არ არსებობს ჯადოსნური ფორმულა, სამაგიეროდ არის საჭიროებებს მისადაგებული ნაზავი თითოეული კურსისათვის. შექმენით თქვენი კურსის შინაარსი და სასწავლო მიდგომა პერსონების ძირითადი ტიპის მიხედვით ანუ თქვენი აუდიტორიის ტიპიურ მოსწავლეთა პროფილების მიხედვით (მაგალითად, დამწყებთათვის, თეორეტიკოსებისთვის, პროფესიონალებისთვის და ა.შ.). იხილეთ შერეული სასწავლო აქტივობა. მისი მიზანია რაც შეიძლება მეტი ასეთი პერსონის საჭიროებების დადგენა.

რჩევა 4: შეაფასეთ შეზღუდვები: რა არის მთავარი დაბრკოლება სასურველი შერეული სწავლების მიდგომის განხორციელებაში, დაწყებული ტექნიკური მხარდაჭერით და ტექნიკით, კლასის ზომით, ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერით და ა.შ.

რჩევა 5: როდესაც შერეული სწავლებისთვის ირჩევთ თქვენი პირისპირ სწავლების ან ელექტრონული სწავლების კონკრეტულ ელემენტებს, ყოველთვის დასვით კითხვა რა სარგებლობა მოაქვს ამას თქვენი კურსისთვის?, მაგალითად, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემა, ეფექტურობა, მოსწავლეების მოქნილობა. და ა.შ.

რჩევა 6: დაიცავით ბალანსი ფორმალურ სწავლებას (მაგალითად, ცოდნის გადაცემა), და არაფორმალურ სწავლებასა თუ კეთების დროს სწავლას ან უნარების განვითარებას შორის, ასევე უკუკავშირს (აქცენტის გაკეთება ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებებზე, წვრთნაზე, სწავლებაზე) შორის.

რჩევა 7: დაგეგმეთ თქვენი შეფასების სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც გეცოდინებათ, რომ ნამდვილად მიაღწიეთ კურსის ამოცანებს და დააკმაყოფილეთ მიზნები. მოახდინეთ რანჟირება მიმდინარე შეფასებას, უკუკავშირსა და ფორმალურ შეფასებას (მაგალითად, ფორმალური აკრედიტაცია ან კვალიფიკაციები) შორის.

რჩევა 8: გამოსცადეთ შერეული სწავლების ელემენტები, როცა გამოიყენებთ ელექტრონულ სწავლებას; სასურველია მოახდინოთ სატესტო სესიების ორგანიზება, რომლებიც თქვენს მოსწავლეებს გააცნობს კონკრეტულ ინსტრუმენტებს და სწავლის მეთოდებს. გარდა ამისა, ყოველთვის ეცადეთ დაადგინოთ ის საჭირო მიახლოებითი დრო თითოეული პირისპირ ან ვირტუალური სასწავლო კომპონენტებისთვის; ასევე შესთავაზეთ საკმარისი მოქნილობა ონლაინ სწავლების მეშვეობით, რადგანაც ყოველთვის არის შანსი, რომ რაღაც არ წარიმართოს ისე, როგორც ეს დაგეგმილი იყო.

რჩევა 9 კურსის იმპლემენტაციის დროს, იყავით მზად თქვენი შერეული სწავლების მიდგომის, საჭიროებისამებრ, ხელახლა შექმნისა და შეცვლისათვის. იყავით მოქნილი თქვენი კურსის დიზაინის იმპლემენტაციისას და იქონიეთ რამდენიმე ალტერნატიული სცენარი იმ შემთხვევისათვის, თუ

გაუთვალისწინებლად რაიმე გამოვა კონტროლიდან.

რჩევა 10: იყოლიეთ ხელმისაწვდომი მხარდამჭერი გუნდი, რათა დაგეხმაროთ კურსის დიზაინთან და განსაკუთრებით, კურსის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით (ტექნიკური ექსპერტი, აკადემიური ექსპერტები, მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი).

ტერმინთა განმარტება

აქტიური სწავლების პედაგოგიკა - აქტიური სწავლება არის სწავლების მოდელი, რომელიც ფოკუსირებულია პასუხისმგებლობაზე დასწავლის დროს. იმისათვის, რომ ისწავლონ, სტუდენტებმა უნდა გააკეთონ უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მოსმენა: მათ უნდა წაიკითხოთ, დაწერონ, განიხილონ, ან პრობლემების გადაჭრაში იყვნენ ჩართულები. კერძოდ, სტუდენტები უნდა ჩაერთონ ასეთი მაღალი სააზროვნო უნარების ამოცანების გადაჭრაში, როგორცაა ანალიზი, სინთეზი და შეფასება. აქტიური სწავლება სტუდენტებს ჩართავს ორ ასპექტში - საქმის კეთებასა და ფიქრში რომ, ისინი ნამდვილ საქმეს აკეთებენ. აქტიური სწავლების მაგალითებია: ჯგუფური/საკლასო დისკუსიები, დებატები, თამაშები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სავარჯიშოები და ა.შ.

ასინქრონული ელექტრონული სწავლება - ჩვეულებრივ დებულობს სასწავლო პლატფორმის ფორმას, ვირტუალური სასწავლო გარემოს (VLE) ან სწავლების მართვის სისტემის (LMS) სახელწოდებით.

შერეული სწავლება - სწავლების ჰიბრიდული მიდგომაა, რომელიც აერთიანებს პირისპირ (F2F) ან ტრადიციული საკლასო და ონლაინ სწავლების სხვადასხვა ელემენტებს.

ანგარიშის წარდგენა (ანალიზი) - ღია დისკუსია სტუდენტებთან (და კოლეგა მასწავლებლებთან), თუ როგორ წარიმართა კურსი და რა მოცულობის სასწავლო მიზნები იქნა მიღწეული.

ღრმა სწავლება - ინტერაქტიული სწავლების პროცესი, რომლის დროსაც სტუდენტები კრიტიკულად განიხილავენ ახალ ფაქტებს და მოსაზრებებს, აკავშირებენ მათ არსებულ შემეცნებით სტრუქტურასთან და ამყარებენ უამრავ კავშირებს იდეებს შორის, როგორც წესი, ცენტრალური პრობლემაზე/თავსატეხზე აქცენტის გაკეთებით.

ციფრული წიგნიერება - ონლაინ სწავლის (და რეალურად სწავლების) „თანამდები პროდუქტია“, რომელიც წარმოადგენს ცნობიერებას ვინმეს ციფრული კვალის შესახებ და ასევე, გამოხატულებას, თუ პირად და პროფესიულ ცხოვრებაში როგორ არის იგი დაკავშირებული ტექნოლოგიასთან.

დისტანციური სწავლება - სწავლების მიწოდების რეჟიმი, რომლის ძირითადი მახასიათებელია დისტანცია მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის. იგი ხშირად დაკავშირებულია კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებთან, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ კამპუსში ყოფნა.

ელექტრონული სწავლება - *რთული, ინტეგრირებული სწავლების სისტემაა*, რომელიც ქმნის ფაქტობრივი ხელსაწყოების და აღჭურვილობის ერთობლიობას და პროგრამულად უზრუნველყოფს, რომ კომპიუტერული ტექნიკით მოხდეს სწავლების ხელშეწყობა. ამ ერთობლიობაში მოიაზრება ის უნარებიც, რაც აუცილებელია აღნიშნული ინსტრუმენტების ეფექტურად განვითარებისა და

გამოყენებისათვის.

უკუკავშირი (რეკომენდაციების გაწევა) - დიალოგი ან ურთიერთქმედება მასწავლებელს და მოსწავლეებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს, სწავლების სხვადასხვა ეტაპზე მაქსიმალურად გაზარდოს სტუდენტების პოტენციალი და მათი ინფორმირებულობა ძლიერ მხარეებსა თუ იმ სფეროებზე, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. ის ასევე ისახავს მიზნად მოახდინოს იმ ქმედებების იდენტიფიცირება, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნას პროცესის გასაუმჯობესებლად.

კომპიუტერული თამაშის შემქმნელი (დიზაინერი) - პირი (ან პირთა ჯგუფი), რომელმაც შექმნა სიმულაციის მიზნები და წესები, და რომელიც როგორც წესი, არის ასევე თამაშის ლიდერიც.

თამაშის ლიდერი - პირი, რომელიც იმყოფება ფაქტობრივად მიმდინარე სიმულაციის (გეიმ ფლეი) ადგილზე.

ცოდნის კონსტრუქცია - კონსტრუქტივისტულ ლოგიკაზე დაფუძნებული ცოდნა აღიქმება, როგორც კონტექსტზე დამოკიდებული, რომელიც უნდა შეიქმნას (აშენდეს); პროფესორიდან სტუდენტზე პასიური ცოდნის გადაცემის გარდა, სტუდენტები *აქტიურად* არიან ჩართული ცოდნის შექმნაში (მშენებლობაში), რისთვისაც მუშაობენ ინდივიდუალურად ან ერთობლივად კონკრეტული ამოცანის ან პრობლემის გადასაწყვეტად.

პოდკასტები ან ვებ ლექციები - ჩაწერილი ლექციები, რომლებსაც აქვთ უკან გადახვევის ფუნქცია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) არის აქტიური სწავლების პედაგოგიკა, რომელშიც სტუდენტები *აქტიურად* არიან ჩართული ცოდნის შექმნაში, და მუშაობენ გარკვეულ სამიზნეებზე ("ამოცანა", "პრობლემა" ან "დავალება"), რომელიც შემუშავებულია ინსტრუქტორის მიერ.

კრიტიკა (განსჯა) - შესაძლებელია მიიღოს სხვადასხვა ფორმა, დაწყებული *თვით-კრიტიკით* (საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზი), დამთავრებული საექსპერტო შეფასებით, სადაც პირი სთავაზობს და იღებს კომენტარს საკუთარი მუშაობის შესახებ.

თვითმართვადი /ტემპიანი/რეგულირებადი სწავლება - პირის მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად ცოდნის, უნარის და შესრულების გაზრდა ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ასაკში.

სიმულაცია - აქტიური სწავლების პედაგოგიკა, რომელიც გვთავაზობს შესაძლებლობას „ვიცხოვროთ სამყაროში“, რომელიც შეისწავლება და არსებობს ამ „ცხოვრებაში“, და რომელიც მოითხოვს სტუდენტებისგან განავითარონ აღნიშნული „სამყაროს“ პირადი მოდელი და მასში ჩართვის უნარები.

სოციალური მედია - კომპიუტერული მედიაციის ინსტრუმენტები ან ინტერნეტ აპლიკაციები, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, ვირტუალურ საზოგადოებასა და ქსელებში შექმნან, გააზიარონ და გაცვალონ ინფორმაცია, იდეები და სურათები/ვიდეოები.

სინქრონული ელექტრონული სწავლება - ელექტრონული სწავლების მიწოდების რეჟიმი, რომელიც ახორციელებს „ლაივ“, რეალურ დროში კომუნიკაციას ვებინარების (ონლაინ სემინარები), ონლაინ კონფერენციებისა და მყისიერი ჩათების (აუდიო და ვიდეო პარამეტრები) ფორმით.

კონსულტაცია - ურთიერთქმედების და სწავლის ფორმა, რომელიც ტრადიციული სემინარისაგან განსხვავებით, ეფუძნება სტუდენტებისა და მცირე ჯგუფის ინტერაქციას პედაგოგთან და დამახასიათებელია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისთვის (PBL).

ვებინარი - სინქრონული ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტები, ლაივ ვიდეო კონფერენციის პროცესი, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან (და ქვეყნებიდან) მასწავლებლების და სტუდენტების ონლაინ დაკავშირება და რომელიც იძლევა იდეებისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის საშუალებას, ყოველგვარი ფიზიკური მოგზაურობის გარეშე.

ვიკი - ერთობლივი ონლაინ მუშაობის პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს ეფექტურად თანამშრომლობისა და კოორდინაციის ინსტრუმენტს ჯგუფურ პროექტებსა და დავალებებზე ერთობლივად სამუშაოდ. ის ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესს თანამშრომლობის მეშვეობით ერთობლივი მონაცემთა ბაზების შექმნის გზით.

კონტრიბუტორები

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

დოქტორი ჰაიდი მაურერი არის ევროპისმცოდნეობის სწავლების მიმართულებით ასისტენტ პროფესორი, ასევე ხელოვნებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური კოორდინატორი მასტრიხტის უნივერსიტეტში. იგი აქტიურად ატარებს კვლევებს, განსაკუთრებით პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით. ჰაიდი დაინტერესებულია პრაქტიკული გამოწვევებით PBL-ის იმპლემენტაციის პროცესში, და ასევე მისი გავლენით სტუდენტებსა და თანამშრომლებზე. გარდა ამისა, მან გამოიკვლია სხვადასხვა სახის დავალებების ზეგავლენის ეფექტი მოსწავლეთა მოტივაციასა და სასწავლო პროცესზე.

ჰაიდი არის თანამედროვე ევროპისმცოდნეობის უნივერსიტეტების ასოციაციის (UACES) თანადაფინანსების კომისიის წევრი, სადაც იგი ჩართულია სასწავლო სამუშაო ჯგუფში. გარდა ამისა, ის ECPR-ის "სწავლებისა და სწავლის პოლიტიკა" მუდმივმოქმედი ჯგუფის აღმასრულებელი კომიტეტის წევრია და ევროკავშირის კვლევების ასოციაციის (EUSA) "ევროპისმცოდნეობის სწავლების" ინტერესების სექციის თანამშრომლობის კომიტეტის წევრია.

ჰაიდის უახლესი ნაშრომი "საუკეთესო პრაქტიკას პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე", უკვე გამოქვეყნდა „პოლიტიკურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობების სწავლებისა და სწავლის სახელმძღვანელოში“ (2015, რედაქტორი იშიამა /მილერი/საიმონი და გამოქვეყნდა ედვარდ ელგარის გამომცემლობაში. დამატებითი ინფორმაცია იხ. - www.heidimaurer.eu -ზე ან Twitter-ზე: heidi_maurer

სიმულაციები

დოქტორი საიმონ აშერვუდი არის ეროვნული სწავლების თანამშრომელი, ხელოვნების ფაკულტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სწავლის და სწავლების ასოცირებული დეკანი და ლექტორი სურეის უნივერსიტეტის პოლიტიკის სკოლაში. იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა უმაღლესი განათლების სფეროში სიმულაციური თამაშების გამოყენებაზე და ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია. დოქტორი აშერვუდი იყენებს სიმულაციებს მოლაპარაკების უნარების სწავლების დროს და ასევე ევროპის კავშირის პოლიტიკის საგნის სწავლებისას. იგი არის აქტიური სწავლების რეგულარული კონტრიბუტორი პოლიტიკურ მეცნიერებათა ბლოგში, რომელიც განიხილავს სიმულაციების გამოყენების მრავალ რელევანტურ ასპექტს. მისი კვლევა ხელმისაწვდომია www.simonusherwood.com -ზე.

ელექტრონული სწავლება

ალექსანდრა მიჰაის აქვს ევროპისმცოდნეობის უნივერსიტეტის (ბონი, გერმანია) მაგისტრის ხარისხი და 2007 წლიდან მუშაობს, როგორც ევროპული კვლევების ინსტიტუტის/VUB მკვლევარი.

EDU-ში მან მნიშვნელოვნად განავითარა არსებული ონლაინ მოდულები, გააფართოვა შერეული სწავლების გამოყენება ვებინარების განვითარებით და მუშაობდა კოლეგებთან, რათა გაეზარდა სტუდენტებისა და პროფესიონალებისთვის მათთვის შეთავაზებულ სწავლებასა და ტრენინგზე მორგებული დიაპაზონი.

იგი ასევე კითხულობდა ლექციებს ევროკავშირის ძირითად ასპექტებზე (კონკრეტულად ევროკავშირის ინსტიტუტებზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, პოლიტიკისა და მრავალ-დონიანი მმართველობის დაახლოებაზე). ალექსანდრამ გამოიკვლია და გამოსცა ტექნოლოგიურად გაძლიერებული სწავლების როგორც კონცეპტუალური, ისე პედაგოგიური საფუძვლები, რომელიც მოიცავს ევროპისმცოდნეობის სწავლების მეთოდოლოგიას, შერეული სასწავლო მიდგომის მეშვეობით.

თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ალექსანდრა ტვიტერზე @ Anda19 და გაეცნოთ მის ბლოგს ტექნოლოგიების, განათლებისა და (ევროკავშირის) პოლიტიკის გადაკვეთაზე:

<http://educationalist.eu/>. <http://www.ies.be/user/44>

შერეული სწავლება

დოქტორი ნატალია ტიმუში არის მასტრიხტის უნივერსიტეტის (UM) მასტრიხტის მმართველობის სკოლის მკვლევარი, ასევე ახლო აღმოსავლეთის და ხმელთაშუა ზღვის კამპუსის მოწვეული პროფესორი, მენტონში, საფრანგეთში.

ამჟამად, იგი არის ევროპის მცოდნეობის ინოვაციური სწავლებისა და სწავლის (INOTLES) პროექტის კოორდინატორი (მართული MGSOG-ის, UM-ის მიერ), რომელმაც 2014-2016 წლებში, მიიღო გრანტი (1 მლნ. ევრო) EACEA TEMPUS ფარგლებში, რათა ხელი შეუწყოს ინოვაციურ სასწავლო რეფორმებს, ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობით (იხ www.inotles.eu).

იგი მუშაობდა როგორც ელექტრონული სწავლების ექსპერტი FASOS-ში, UM-ში (2010-2011), რომელიც იყო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების სპეციალური ჯგუფის და UM-ის სასწავლო და სამუშაო პროექტი. 2009-2012 წლებში, მის მიერ შემუშავებული და განხორციელებული იქნა რამდენიმე ონლაინ და შერეული სასწავლო კურსი FASOS-ში, UM-ში, მათ შორის შიდა საუნივერსიტეტო კურსი ბილკენტის უნივერსიტეტში, ანკარაში, რომელმაც მიიღო გრანტები, საუნივერსიტეტო და საერთაშორისო დონეზე.

ნატალია აქტიურად იკვლევს, გამოსცემს და ახორციელებს ინოვაციური სწავლების მეთოდებს, რა დროსაც აქცენტს აკეთებს პოლიტიკურ მეცნიერებათა და ევროპის მცოდნეობის სფეროზე. თქვენ შეგიძლიათ იხილოთ უფრო მეტი მისი პუბლიკაციების შესახებ მის პროფესიულ საიტზე.

http://www.merit.unu.edu/about-us/profile/?staff_id=1715

რედაქტორები

ალექსანდრა მიჰაი და ნატალია ტიმუში

სახელმძღვანელო შედარება

ლარენ დანტენ არის ევროპის მცოდნეობის სწავლისა და სწავლების ტექნოლოგი. მას გააჩნია დაახლოებით ათწლიანი სამუშაო გამოცდილება უმაღლესი განათლების სისტემაში, სწავლისა და სწავლების ფარგლების გაფართოების სფეროსა და ტექნოლოგიის გამოყენებაში. ის აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს ონლაინ სწავლების დაგეგმვაში.